PDF Eraser Free

დანართი №1

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ბათუმის საზოგადოებრივ აკადემია BPA-ში განხორციელებული მონიტორინგის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მანანა მოისწრაფიშვილი

წევრები:

ნიკა ჯიაძე

ნანა ვერულაშვილი

თამილა გრძელიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
1. საოფისე საქმე	20	18	-
2. საფინანსო სერვისები	24	0	0
3. საექთნო განათლება	60	27	1
4. ფარმაცია(სააფთიაქო)	40	39	1
5. აღმზრდელი	40	0	0
6. ბუღალტრული აღრიცხვა	40	13	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საერთო მიმოხილვა

ცენტრის დირექტორის 2021 წლის 4 აგვისტოს N 768169 ბრძანებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ დებულების“ 31-ემუხლის, მე-2 პუნქტის „ა“,“გ“,“დ“ „ე“ ქვეპუნქტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "ფარმაცია(სააფთიაქო)" და "საექთნო საქმის" ავტორიზაციის დებულების“ 31-ემუხლის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისობის შეფასებით. (გეგმიური მონიტორინგი).

შემოწმების მიზნით განხორციელდა ვიზიტი ქ. ბათუმში. ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტების მიერ (მანანა მოისწრაფიშვილი და ნიკა ჯიაძე) ინსტიტუციური სტანდარტების შემოწმება განხორციელდა 2021 წლის 11 და 12 აგვისტოს, ხოლო პროგრამული სტანდარტის შემოწმება ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებისა და დარგის ექსპერტების ნანა ვერულაშვილი (ფარმაცია (სააფთიაქო)) და თამილა გრძელიშვილი (საექთნო განათლება) მიერ განხორციელდა 2021 წლის 13 აგვისტოს. დაწესებულების ინფრასტუქტურისა და მატერიალური რესურსების დათვალიერება განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა სრული შემადგენლობის მიერ 2021 წლის 13 აგვისტოს.

ცენტრის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისობის მიზნით ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის ჩატარდა წინასწარი შეხვედრა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, სადაც განხილული იქნა დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაცია, შეჯერებული იქნა საყურადღებო საკითხები, შემუშავებული იქნა ვიზიტის განრიგი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა განრიგის შესაბამისად, რომლის ფარგლებში ექსპერტები დაწესებულებაში გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე, მატერიალური რესურსების მართვაზე, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვაზე, შესყიდვებზე, საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელ პირებს, IT სპეციალისტს, ბიბლიოთეკარსა და პროგრამის ხელმძღვანელს (ფარმაცია (სააფთიაქო)), ექსპერტების მიერ განხორციელდა ავტორიზაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
სტანდარტებთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში კოლეჯის დოკუმენტაციის შესწავლა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ბიბლიოთეკის დათვალიერება და სხვა. პანდემიიდან გამოწვეული ვითარების გათვალისწინების გამო გასაუბრებები საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან (საეთნო განათლება), პროფესიულ სტუდენტებთანდა პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან კოლეჯიდან განხორციელდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ დაწესებულების მონიტორინგის ფარგლებში ვიზიტის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ხარვეზები:

1.2.1.3. ინდიკატორში - დაწესებულების სამოქმედო გეგმაში არ არის გაწერილი შესრულების ინდიკატორები, ასევე არ არის გამიჯნული ამოცანები და აქტივობები და 5.1.2.1. ინდიკატორში - დაწესებულების მიერ არ არის შესრულებული სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრაზე სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობით (N01502338/11.06.2019) მითითებული ვადების მიხედვით განსაზღვრული ყველა ღონისძიება.

დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენილს მერე ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ 1.2.1.3. ინდიკატორის მოთხოვნების შესრულება შეფასდა როგორც სრული შესაბამისობა, ხოლო 5.1.2.1. ინდიკატორის მოთხოვნები კი როგორც მეტწილი შესაბამისობა.

ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ვითარებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

V. ავტორიზაციის 1-ელ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
1.1) პსდ-ს მისია		სრულ შესაბამისობაშია
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება		სრულ შესაბამისობაშია
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა		სრულ შესაბამისობაშია
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები		სრულ შესაბამისობაშია
4) ადამიანური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა		სრულ შესაბამისობაშია
4.2) პერსონალის განვითარება		სრულ შესაბამისობაშია
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა		მეტწილ შესაბამისობაშია
5.2) საინფორმაციო რესურსები		სრულ შესაბამისობაშია
5.3) ფინანსური რესურსები		სრულ შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

–

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

➢ დაწესებულებამ საკუთარ რეგულაციაში გაწეროს პროფესიული სტუდენტის შეფასების აპელაციის პროცედურა - **შესრულებულია;**

➢ რეკომენდებულია დაწესებულებამ საკუთარ რეგულაციაში გაწეროს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადა, რომლის ამოწურვის შემდეგ შესაძლებელია სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა - **შესრულებულია;**

➢ რეკომენდებულია შეიქმნას შიდა მონიტორინგის/მხარდაჭერის ჯგუფი ან/და პროგრამების ადაპტირებაზე მომუშავე ჯგუფს დააკისროს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგი და შემუშავდეს ჯგუფის ფუნქციონირებისათვის ყველა საჭირო დოკუმენტი (სამოქმედო გეგმა, შეფასების ინსტრუმენტის და კალენდარული გეგმის შეფასების ფურცლები, ლექციებზე დასწრების კითხვარები და სხვა) - **შესრულებულია;**

➢ დაწესებულებამ გაწეროს კომპიუტერული ტექნიკის გადანაწილების დოკუმენტი - **შესრულებულია;**

➢ დაწესებულებამ უზრუნველყოს ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას მიეთითოს თარიღები - **შესრულებულია;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

➢ დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათებლო პროგრამების დანართი 1-ში განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის ფორმულირება თანხვედრაში მოიყვანოს, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით მინიჭებულ კვალიფიკაციასთან - **შესრულებულია.**

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

-

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

5.1.2.1.

დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრაზე სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობით (N01502338/11.06.2019) განსაზღვრული ყველა ღონისძიების შესრულება წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით;

X. . განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

1.1.1.3. დაწესებულების მისიის პუნქტი ,,პერსონალის განვითარებისათვის მუდმივი ზრუნვა" სასურველია გადატანილი იქნას ღირებულებების პუნქტის ,,განვითარებაზე ორიენტირებულობა" აღწერაში;
3.1.1.3. დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით ზოგ შემთხვევაში ხდება თემების დუბლირება, გადაფარვა ან შევსება, თუმცა არა ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციით (მაგ. ფორმალური განათლების აღიარება გაწერილია როგორც სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის წესში (მუხლი 6), ასევე საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ წესში (მუხლი 23), პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი გაწერილი იყო როგორც როგორც სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის წესში , ისე შინაგანაწესში და ა.შ.). შესაბამისად, სასურველია საგანმანათლებლო საქმიანობის რეგულაციები მკვეთრად გაიმიჯნოს ხარისხის უზრუნველყოფის რეგულაციებისგან და ჩამოყალიბდეს თითო დოკუმენტის სახით, რაც უზრუნველყოფს საქმიანობისა და პასუხისმგებლობების მიხედვით სასწავლო პროცესისა და ხარისხის მართვის პროცედურებისა და წესების უფრო მარტივად აღქმასა და გამოყენებას.

5.2.2.1. ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით სასურველია საქმისწარმოების ერთიან წესებში მეტად დეტალურად გაიწეროს სხვადასხვა პროცედურები (დოკუმენტბრუნვის ორგანიზაცია და შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვა, შემოსული დოკუმენტაციის დამუშავება და აღრიცხვა, დოკუმენტის განხილვა და პასუხის მომზადება, გასაგზავნი დოკუმენტების დამუშავება და აღრიცხვა, მმართველობითი დოკუ-მენტების მომზადება, ხელშეკრულებების აღრიცხვა, დავალებათა მომზადება, უცხოეთიდან შემოსული დოკუმენტაციის განხილვა, დოკუ-მენტის ასლების დამზადება, შენახვა, დოკუმენტების შესრულების კონტროლი დიპლომების რეგისტრაცია და აღრიცხვა და სხვ.) და მათი შესრულების ვადები.

2.3.1.2. რადგან სტრუქტურის მიხედვით აკადემიაში არ არსებობს ხარისხის მართვის სამსახური, დოკუმენტს „ხარისხის მართვის სამსახურის სამოქმედო გეგმა“ სასურველია ეწოდოს „ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XI. სტანდარტების შეფასება

1. **კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება**

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში.

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ბათუმის საზოგადოებრივი აკადემიის - BPA-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს, რადგან იგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამების შეთავაზებით უზრუნველყოფს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრების მომზადებას, ასევე, მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლების ფორმალური და არაფორმალური გზით განათლების მიღების შესაძლებლობას;
2. ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია - BPA ახორციელებს სხვადასხვა პროფილის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, რაც მის მისიაში მითითებულია და შესაბამისად, იკითხება მისი როლი განათლების სისტემაში;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები, კერძოდ, აკადემიის ხედვის შესაბამისად ჩანს, რომ თანმიმდევრული აქტივობებით უპასუხებს შრომის ბაზრის გამოწვევებსა და კონკურენტუნარიან საგანმანათლებლო სივრცეში შეძლებს ინდივიდუალური ნიშნით დამკვიდრებას, ხოლო ღირებულებებად არჩეული აქვს, ავტონომიურობა, სწავლა-სწავლებაში მონაწილე სუბიექტების თანაბარი განვითარების შესაძლებლობა, სოციალური პასუხისმგებლობა, გამჭვივალობა და ღიაობა. დაწესებულებას მისიაში მითითებული ჰქონდა ,,პერსონალის განვითარებისთვის მუდმივი ზრუნვა", რაც მოქმედებაა და არ შეესაბამება მისიის ფორმულირებას. ამავე დროს, დაწესებულებას ღირებულებებში გაწერილის აქვს პუნქტი ,,განვითარებაზე ორიენტირებულობა", რომელიც იქვეა განმარტებული თუ რას გულისხმობს. შესაბამისად, **ექსპერტთა მოსაზრებით, უმჯობესია მისიის პუნქტი ,,პერსონალის განვითარებისათვის მუდმივი ზრუნვა" ამოღებული იქნას მისიიდან და გადატანილი იქნას ღირებულებების ,,განვითარებაზე ორიენტირებულობის" პუნქტის აღწერაში, რომ ეს პუნქტი მოიცავს მათ შორის პერსონალის განვითარებაზე მუდმივ ზრუნვას.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი, კერძოდ იგი გაზიარებულია ვებგვერდზე, გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. დაწესებულების მიერ შესრულებულია დირექტორის ბრძანებით N 01-10 (12.03.20 წ.) დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგიაში გაწერილი მე-2 პუნქტის მოთხოვნები, რომლის მიხედვით მისიის, ხედვის და ღირებულკებების შემუშავებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემიის BPA-ს წარმომადგენლებმა: პერსონალმა, სტუდენტებმა, პარტნიორმა დაწესებულებებმა, კურსდამთავრებულებმა. ექსპერტთა მიერ ვიზიტის ფარგლებში ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე და მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულების მიერ დაგზავნილი იყო განსახილველად მისია, ხედვა და ღირებულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან, ჩატარდა შეხვედრები, გამოკითხვები და კითხვარებში შეტანილი იქნა შესაბამისი კითხვები. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში ჩატარებული შეხვედრების ამსახველი ოქმები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებგვერდზე განთავსებული დაწესებულების მისია,ხედვა, ღირებულებები https://www.bpa.ge/images/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90.pdf
- დაინტერესებულ მხარეთა მიერ შევსებული კითხვარები;
- მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში ჩატარებული შეხვედრების ამსახველი ოქმები;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების დირექტორის მიერ 2020 წლის 12 მარტს ბრძანებით N 01-10 დამტკიცებულია სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა აღნიშნული დოკუმენტი და ჩატარდა აკადემიის ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრება, რის შედეგადაც დადასტურდა რომ სტრატეგიული პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის მათ მიერ შემუშავებული იქნა მეთოდოლოგია, რომლის მთავარ ორიენტირად მაქსიმალური ჩართულობა იქნა განსაზღვრული და მოიცავს შემდეგ ხუთ ძირითად ეტაპს: 1 ინფორმაციის მოძიება და ანალიზი; 2. მისიის, ხედვისა და ღირებულებების ფორმირება; 3. სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირება; 4. სამოქმედო გეგმის შემუშავება; 5. შესრულების მონიტორინგის მექანიზმები. აღნიშნულის გადამოწმებით ასევე დადასტურდა, რომ დაწესებულების მიერ შესრულებულია დირექტორის ბრძანებით N 01-10 (12.03.20 წ.) დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგიაში გაწერილი პუნქტი, რომლის მიხედვით სტრატეგიული გეგმის მომზადებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემიის BPA-ს წარმომადგენლებმა: პერსონალმა, სტუდენტებმა, პარტნიორმა დაწესებულებებმა, კურსდამთავრებულებმა“, რაც დასტურდება მათ მიერ შევსებული კითხვარებით და შეხვედრების ამსახველი ოქმებითაც. შესაბამისად, დაწესებულება ხელმძღვანელობს მის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას.
2. დაწესებულებას გათავისებული აქვს, რომ სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის და რეგიონის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს, რის საპასუხოდ იგი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შედგენისას იყენებს მეთოდოლოგიას, რომელშიც გაწერილია პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა, ხოლო ქვეყნის და რეგიონის პრიორიტეტებს ადგენს განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიისა და რეგიონის საჭიროებების საფუძველზე, რის დამადასტურებლადაც დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა წარმოადგინა დაინტერესებულ მხარეთა მიერ შევსებული კითხვარები, მისი შეფასებისა და ანალიზის დოკუმენტი და შრომის ბაზრის კვლევა.
3. დაგეგმვისას დაწესებულებას სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრავრული აქვს მისიასთან თავსებადი მიზნები: 1. ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და მათი განხორციელების ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება; 2. პერსონალის ცოდნისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კვალიფიკაციის ამაღლება; 3. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; 4. ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესება, ამ მიზნების შესაბამის ამოცანები/აქტივობები, განხორციელების ვადები და შესრულების ინდიკატორები; რაც შეეხება სამოქმედო გეგმას, ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს დადგინდა, რომ მისი შედგენისას **დაწესებულებას დარღვეული ჰქონდა ინდიკატორის მოთხოვნები. კერძოდ სტრატეგიული მიზნების მიხედვით შესასრულებელი ამოცანები და აქტივობები არ იყო გამიჯნული და შესრულებული აქტივობების დასათაურების ქვეშ იყო წარმოდგენილი გაერთიანებული სახით, რაზეც მიეცათ შენიშვნა, რომ საჭირო იყო მათი გამიჯვნა და ცალცალკე ამოცანებად და ამ ამოცანების შესაბამის აქტივობებად ჩამოყალიბება. ასევე, არ იყო გაწერილი შესრულების ინდიკატორები. სამოქმედო გეგმაში გაწერილი იყო აქტივობების შესრულების ვადები, თუმცა რესურსებში აკლდა მატერიალური რესურსები (გაწერილი იყო მხოლოდ ადამიანური და ფინანსური რესურსები). ყოველივე ზემოაღნიშნულის შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები არ იყო დაკმაყოფილებული და საჭირო იყო განხორციელებულიყო ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნათა მიხედვით სამოქმედო გეგმის გადამუშავება: გაწერილიყო შესრულების ინდიკატორები, გამიჯნულიყო ამოცანები და აქტივობები. ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ სამოქმედო გეგმაში გაწერილ ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს დამატებოდა საჭირო მატერიალური რესურსებიც;**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხებისა და დანართების შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ზემოაღნიშნული ხარვეზის შესახებ მითითება დაწესებულების მიერ სრულად იქნა გაზიარებული და მათ მიერ დაუყოვნებლივ მოხდა ხარვეზების აღმოფხვრა და შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა: მოდიფიცირებული 2021 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, 2021 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში ცვლილებების განხორციელების ოქმი N13 (07.09.2021 წ.), ბრძანება N01-26 (07.09.2021) 2021 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში ცვლილებების განხორციელების შესახებ. აღნიშნული მტკიცებულებები შეისწავლა რა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა, დაადგინა, რომ დაწესებულების მიერ 1.2.1.3. ინდიკატორის მოთხოვნები სრულადაა დაკმაყოფილებული და შეაფასა როგორც სრული შესაბამისობა.

დასტურდება

(მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების დირექტორის მიერ 2020 წლის 12 მარტს ბრძანებით N 01-10 დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია.
- დაწესებულების დირექტორის მიერ 2020 წლის 12 მარტს ბრძანებით N 01-10 დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი);
- დაწესებულების დირექტორის მიერ 2021 წლის 14 იანვრის ბრძანებით N 01-01 დამტკიცებული, 2021 წლის სამოქმედო გეგმა (ერთწლიანი);
- სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების შეხვედრების ამსახველი ოქმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის შედეგები;
- მოდიფიცირებული 2021 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- 2021 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში ცვლილებების განხორციელების ოქმი N13 (07.09.2021 წ.);
- დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 7 სექტემბრის ბრძანება N01-26 2021 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში ცვლილებების განხორციელების შესახებ;
- ინტერვიუს შედეგები

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. აკადემიის ადმინისტრაცია პასუხისმგებელია სამოქმედო გეგმებისა და მისი შესრულების წლიური ანგარიშების შემუშავებაზე. აღნიშნული ანგარიშები ასახავს სტრატეგიის განხორციელების სტატუსს, ანგარიშის შედგენის პერიოდისათვის და წარმოადგენს სტრატეგიის მონიტორინგის მექანიზმს. სტრატეგიის შეფასება მოხდება ხუთი კრიტერიუმის შესაბამისად - შესაბამისობა, ეფექტიანობა, ეფექტურობა, მდგრადობა და ზეგავლენა. აღნიშნულ პროცესში დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის განმარტებით მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, რის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულება ახდენს მათ გამოკითხვებს და მიღებული ინფორმაციის დამუშავებას, რომელიც გამოყენებული იქნება გეგმების შესრულების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით. მან წარმოადგინა სამოქმედო გეგმების შესრულების შუალედური და წლიური ანგარიშები და განმარტა, რომ აღნიშნული პროცესი გაგრძელდება და მისი შედეგები გამოყენებული იქნება სტრატეგიული გეგმის შესრულების შეფასების პროცესში. აქედან გამომდინარე, დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე, კერძოდ, ადმინისტრაციის წარმომადგენელთა განმარტებით, 2022 წელს განხორციელდება სტრატეგიის შუალედური შეფასება. შეფასების შედეგების შესაბამისად, მოხდება სტრატეგიის გადახედვა და საჭიროების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მიხედვით კორექტირება. აღნიშნული პროცედურა გაწერილია დაწესებულების შესაბამის მეთოდოლოგიაშიც და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხიმგებელ პირს შემუშავებული აქვს გეგმაც. აგრეთვე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა რეკომენდაციები, რომელიც შემუშავებული იქნა სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშების ანალიზის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ. აღნიშნული დოკუმენტები შესწავლილი იქნა ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში და არსებობს საფუძველი, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასების შედეგებზე დაწესებულებას ექნება სათანადო რეაგირება;

3. დაწესებულების სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია ანგარიშის სახით, რომელიც განთავსებულია ვებგვერდზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების დირექტორის მიერ 2020 წლის 12 მარტს ბრძანებით N 01-10 დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია.
- 2018, 2019 და 2020 წლების სამოქმედო გეგმების ანგარიშები;
- ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამოქმედო გეგმა და ანგარიშები;
- კითხვარები და დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია.

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი BPA-ს დირექტორის მიერ 2020 წლის 15 ივლისს ბრძანებით №01-26 დამტკიცებულია სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი, რომლის თანახმად, დაწესებულების მარეგულირებელი შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა; კერძოდ, გაწერილია მობილობის წესი, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება/სტატუსის აღდგენა; ფორმალური განათლების აღიარება; ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. ამავე დროს, პროფესიული სტუდენტებს აქვთ საგანმანათლებლო დაწესებულების/იურიდიული პირის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით ისარგებლოს მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსებით. 2020 წლის 20 ივლისის ბრძანებით №01-27 დამტკიცებულ საგანმანათლებო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებაში კი გაწერილია სსმ პირების უფლებების, ინდივიდუალური გეგმების, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოებისა და სხვა საკითხები. აღნიშნული მექანიზმები დაწესებულებას ვებ-გვედზეც აქვს განთავსებული და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს წვდომა მის შინაარსზე. აღნიშნული წესების პრაქტიკაში გამოყენების გადამოწმების მიზნით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევითად შესწავლილი იქნა პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის შემთხვევაში, ასევე როგორც სრულწლოვანი პროფესიული სტუდენტების, ისე არასრულწლოვანების შემთხვევებშიც. ისინი შესრულებული იყო სათანადოდ, რაც ადასტურებს, რომ დაწესებულება იცავს საკუთარი მარეგულირებელი წესების მოთხოვნებს. **პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების დამატებითი საფუძველი გაწერილი იყო აკადემიის შინაგანაწესშიც, რომელიც წინააღმდეგობაში არ**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მოდიოდა სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელ წესთან, თუმცა აზუსტებდა მის 2 პუნქტს. ავტორიზაციის ექსპერტებმა ინტერვიუს ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად განიხილეს სხვადასხვა დოკუმენტში სტატუსის შეჩერების გაწერის მიზანშეწონილობის საკითხი. დაწესებულების წარმომადგენლებმა გაიზიარეს ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრება რომ პროფესიული სტაუდენტის უფლებების შესახებ ჩანაწერი უმჯობესია რეგულირდებოდეს ერთი დოკუმენტით და ვიზიტის ფარგლებში თავიანთი მარეგულირებელი წესების დაცვით მოახდინეს ცვლილება სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესში და შინაგანაწესში. ცვლილებების შესახებ ბრძანებები წარმოდგენილია დანართის სახით, ხოლო დოკუმენტები კი განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე.

2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს, გავეცანით რა დოკუმენტებს - დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშებს, მათ შორის არასრულწლოვანთან გაფორმებულ ხელშეკრულებასაც, სადაც მკაფიოდ წერია მათი უფლებები და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები, ინტერვიუების შედეგად სტუდენტებთან დავაზუსტეთ, რომ ისინი ფლობენ ინფორმაციას მათი უფლებებისა და კანონების დაცვის მექანიზმებს. მათ ხაზი გაუსვეს, რომ სწავლის დაწყებისთანავე მიმაგრებული ჰყავთ კურატორები, რომლებიც ყველა საჭირო ინფორმაციას აწვდიან ზემოთ ხსენებულ საკითხებზე. ასევე, მათ აღნიშნეს, რომ დაწესებულების ვებ გვერდზე ხელმისაწვდომია კოლეჯის მარეგულირებელი წესები და ნებისმიერ დროს შეუძლიათ გაეცნონ;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის, ასევე იმის შესახებ, რომ საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ ისარგებლონ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით, თუმცა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ შეფასების შედეგების გასაჩივრების წესის გამოყენება პრაქტიკულად არ მომხდარა, თუმცა პროფესიულმა სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ნამდვილად ფლობენ ინფორმაციას აღნიშნულის შესახებ; საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში დირექტორის ბრძ. №01-27 დოკუმენტში 25 მუხლსა და 1-3 პუნქტებშია გაწერილია. ხოლო პროფესიული სტუდენტის შეფასების შესახებ კი სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესშია მოცემული, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ 2020 წლის 15 ივლისის ბრძანებით №01-26, (მუხლი 11 „შეფასების პროცესი“). ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით ზოგ შემთხვევაში ხდება თემების დუბლირება, გადაფარვა ან შევსება, თუმცა არა ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციით (მაგ. ფორმალური განათლების აღიარება გაწერილია როგორც სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის წესში (მუხლი 6), ასევე საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ წესში (მუხლი 23), პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი გაწერილი იყო როგორც როგორც სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის წესში, ისე შინაგანაწესში და ა.შ.). შესაბამისად, სასურველია საგანმანათლებლო საქმიანობის რეგულაციები მკვეთრად გაიმიჯნოს ხარისხის უზრუნველყოფის რეგულაციებისგან და ჩამოყალიბდეს თითო დოკუმენტის სახით, რაც უზრუნველყოფს საქმიანობისა და პასუხისმგებლობების მიხედვით სასწავლო პროცესისა და ხარისხის მართვის პროცედურებისა და წესების უფრო მარტივად აღქმასა და გამოყენებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4. დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა; ექსპერტების მიერ მოხდა შერჩევითი პრინციპით სტუდენტსა და დაწესებულებას შორის გაფორმებული ხელშეკრულება, მათ შორის არასრუწლოვან პირთანაც, სადაც ნათლადაა გაწერილი მათ უფლებები და კანონიერი ინტერესები.
5. დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. რაც დასტურდება კოლეჯის დირექტორის მიერ 2020 წლის 15 ივლისის ბრძანებით №01-27 დამტკიცებულ საგანმანათლებო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებაში გაწერილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესით, 22-ე მუხლის, 1-4 პუნქტების შესაბამისად, რომლის მიხედვითაც, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება შესაძლებელია განისაზღვროს მაშინ, როცა სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს; მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტისთვის, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებულია მიმღები დაწესებულების სწავლის შედეგებისგან; პროფესიული სტუდენტი, რომელსაც შეჩერებული ჰქონდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის გზით; პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ხოლო არასრულწლოვანი/მხარდაჭერის მიმღები პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში შესაძლოა ჩართულ იქნას მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. დაწესებულებასთან ვიზიტის დროს, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ჯერ არ დამდგარა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის მიერ 2020 წლის 15 ივლისს ბრძანებით №01-26 დამტკიცებული სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი;
- ბათუმის საზოგადოებრივი აკადემიასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები;
- შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ს დირექტორის 2020 წლის 20 ივლისს მიღებული №01-04 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება“, პუნქტი 22: „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“.
- შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ს ვებგვერდზე განთავსებული დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია https://www.bpa.ge/studenti
- ადმინისტრაციასთან, პროფესიულ სტუდენტებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამებას

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მომსახურება.

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული სტუდენტი დაწესებულებისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად; დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების 28-ე მუხლის თანახმად, პროფესიული სტუდენტი სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის, სასწავლო პრაქტიკის ხელმძღვანელის, პროგრამის ხელმძღვანელის და პროფესიული განათლების მასწავლებლისგან იღებს სათანადო კონსულტაციას და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად; სტუდენტის მხრიდან წამოსული მომართვის შემთხვევაში, გათვალისწინებულია დამატებითი კონსულტაციები ვადებისა და ფორმის მითითებით. აღნიშნული წესის პრაქტიკაში გამოყენების გადამოწმების მიზნით ჩატარდა ინტერვიუები პროფესიულ სტუდენტებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, რომლებმაც დაგვიდასტურეს ზემოაღწერილი სერვისის პრაქტიკაში გამოყენების შესახებ.
2. დაწესებულება სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების 25-ე პუნქტისა და სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ სწავლის დაწყების მომენტიდან ხდება პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაცია სასწავლო გარემოსთან. სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად სტუდენტებს აცნობს კოლეჯის სერვისებს და ინფრასტრუქტურას, კოლეჯის ვებ-გვერდსა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

და ფეისბუქ-გვერდს. აგრეთვე ეცნობიან კოლეჯის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. სასწავლო წლის დასაწყისში, სტუდენტებს, კოლეჯის დაცვის უსაფრთხოების სპეციალისტი უტარებს ზოგადი უსაფრთხოების წესების შესახებ ინსტრუქტაჟს.

3. დაწესებულება პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას; აღნიშნული საკითხის შესახებ ინფორმაცია მიღებული იქნა ვიზიტის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუს ფარგლებში, რომლებმაც დაადასტურეს რომ დაწესებულებაში არსებული კურატორების შუამავლობით დროულად იღებენ საჭირო ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

4. დაწესებულება უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას; კოლეჯი ახორციელებს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას. ამ მიზნით კოლეჯი ყოველმხრივ ახალისებს და ხელს უწყობს საგანმანათლებლო, შემოქმედებითი, სპორტული, საქველმოქმედო, საექსკურსიო-შემეცნებითი და საზოგადოებრივად სასარგებლო სტუდენტური ინიციატივების განხორციელებას, რომელიც შეესაბამება კოლეჯის მიზნებსა და საქმიანობის სფეროს; ისინი გეგმავენ აქტივობებს, გამოყოფენ განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის - ღონისძიების მომწყობს - რომელიც ინიციატივის საფუძველზე ათანხმებს დირექტორთან ვადებს, რესურსებს და დაგეგმილ აქტივობებს. განსახორციელებელ ღონისძიებას აანონსდებენ კოლეჯის ვებ-გვერდზე, ასევე სოციალურ(ფეისბუქ) გვერდზე. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ვებგვერდი, ფეისბუქგვერდი, სხვადასხვა ჩანაწერები, ანგარიშები და დოკუმენტები განხორციელებული ანდა განსახორციელებელი სტუდენტური ინიციატივების, აქტივობებისა პროექტების შესახებ, რითიც დადასტურდა ზემოაღნიშნული.

5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას. ქმნის კითხვარებს, აანალიზებს მათ და შესაბამისად რეაგირებს. დაწესებულება სტუდენტისგან იღებს უკუკავშირს მიწოდებული სერვისების ხარისხის შესახებ და აფასებს მათ. პროფესიულ სტუდენტებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა, რომ ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი იღებს უკუკავშირს სტუდენტებისგან და შემდეგ შესაბამისად რეაგირებს მათზე. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა წარმოადგინა ზემოაღნიშნული კითხვარები, მათი შეფასებისა და ანალიზის დოკუმენტები და ანგარიშები, რომლებშიც გაწერილია შესაბამისი რეკომენდაციები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიულ სტუდენტებთან კვლევის კითხვარი და შედეგები.
- სტუდენტური ღონისძიებებისა და ინიციატივების ამსახველი დოკუმენტაცია;
- შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ს დირექტორის 2021 წლის 14 იანვარს მიღებული №01-01 ბრძანებით დამტკიცებული „2021 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა“. ჩანაწერი გამოყოფილი ბიუჯეტი სტუდენტებისათვის კულტურული და გასართობი ღონისძიებების მოწყობაზე (ექსკურსიები, სადღესასწაულო ღონისძიებები).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება.

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 დეკემბრის ბრძანებით N01-45 დამტკიცებულია პროფესიული სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული ზრდის და დასაქმების კვლევის მეთოდოლოგია, რომლის შესწავლისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგების საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებაში კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის; აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული ზრდის პროცესს კურირებას უწევს „სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების და კარიერული განვითარების კვლევის ჯგუფი“, რომელიც დაკომპლექტებულია დირექტორის ბრძანებით, ჯგუფს ხელმძღვანელობს კოორდინატორი, რომელსაც დავალებული აქვს შემდეგი აქტივობები: სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს შეუქმნას დამატებითი შესაძლებლობები დასაქმებისა და კარიერული განვითარების კუთხით; დამსაქმებლებს გაუმარტივოს სასურველი კვალიფიკაციის სპეციალისტების მოძიება და შერჩევა; საგანმანათლებლო დაწესებულებას დაეხმაროს პროგრამების განვითარებაში და მათ მიახლოებაში შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული ჯგუფის გეგმა და მათ მიერ შესრულებული ანგარიში განხორციელებული საქმიანობის შესახებ;
2. დაწესებულება მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ისინი მუდმივ რეჟიმში ახორციელებენ მოლაპარაკებას დამსაქმებლებთან. ახორციელებენ დამსაქმებლების ვაკანსიების მონაცემთა ბაზის ფორმირებს; ერთობლივი ღონისძიებების ჩატარება სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ხელშეწყობის მიზნით; რასაც ახორციელებს შექმნილი ბაზებით, რაც სტუდენტებთან კომუნიკაციას ეფექტურს ხდის. აღნიშნული საკითხის პრაქტიკაში გადამოწმების მიზნით ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუები დამსაქმებლებთან, რომლებმაც დაადასტურეს, რომ ისინი მჭიდროდ თანამშრომლობენ კოლეჯის ადმინისტრაციასთან.
3. დაწესებულება პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით, რისთვისაც შემუშავებული აქვს მონიტორინგის მეთოდიკა, სადაც გამოკვეთილია სხვადასხვა ფუნქცია: განახორციელოს იმ მონაცემების შეგროვება, რომლებიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

საკმარისად დაახასიათებენ საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულთა დასაქმებას, მათ შორის სპეციალობების მიხედვით. მისცეს საშუალება შეფასდეს კურსდამთავრებულთა დასაქმების პროცესის ეფექტურობა, იმ ინდიკატორების შემუშავებისა და გამოთვლის მეშვეობით, რომლებიც აფასებენ შედეგიანობას და ოპერატიულობას. პოტენციური დამსაქმებლების წრის განსაზღვრა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის; საგანმანათლებლო დაწესებულებაში პრაქტიკის ორგანიზების ხარისხის კვლევა; სტუდენტთა კარიერული პრეფერენციების განსაზღვრა, კურსდამთავრებულთა კარიერული ზრდის ანალიზი;

4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, რომელიც მოიცავს ანკეტებს, ინტერვიუებს, სატელეფონო გამოკითხვები, დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს. ამ გამოკითხვებს იყენებენ საკადრო საჭიროებების გამოსავლენად და პროგნოზირებისათვის, მოთხოვნადი სპეციალობების და კურსდამთავრებულთა კომპეტენციების ჩამონათვალის ფორმირებისათვის, კურსდამთავრებულთა მომზადების ხარისხის გაზრდის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამების კორექტირებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 2020 წლის 18 დეკემბრის ბრძანებით N01-45 დამტკიცებული პროფესიული სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული ზრდის და დასაქმების კვლევის მეთოდოლოგია;
- დამსაქმებლებთან დაგეგმილი შეხვედრების, დასაქმებისთვის მოწყობილი ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტაცია;
- „სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული განვითარების კვლევის ჯგუფის დოკუმენტაცია;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის კითხვარები და კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგების ანალიზი;
- შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ს დირექტორის 2021 წლის 14 იანვარს მიღებული №01-01 ბრძანებით დამტკიცებული „ 2021 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა“ ;
- პროფესიულ სტუდენტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას.

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში დასაქმებული პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. კერძოდ, საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში განსაზღვრულია აკადემიის სტრუქტურა: აკადემიის მმართველი სუბიექტები (პარტნიორთა საერთო კრება; დირექტორი; დირექტორის მოადგილე სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში; აკადემიის დირექტორის აპარატი და ბიბლიოთეკა; აკადემიაში სასწავლო პროცესის ადმინისტრირებას უზრუნველყოფის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი; აკადემიის დამხმარე პერსონალი საჭიროების მიხედვით. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პერსონალის ფუნქციები და სამუშაო აღწერილობები, რომლებიც მკაფიოდაა განსაზღვრული, ცნობილია პერსონალისთვის, რაც დადასტურდა მათთან ინტერვიუს დროს.
2. დაწესებულების პერსონალს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას; დაწესებულებაში სწორადაა განსაზღვრული პერსონალის პასუხისმგებლობები, რაც დასტურდება სამოქმედო გეგმაში გაწერილი შესასრულებელ სამუშაოებზე პასუხისმგებელ პირთა სწორად განსაზღვრით. ასევე, ინტერვიუს დროს პერსონალთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განსახორციელებლად პერსონალის ფუნქციები და პასუხისმგელობები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ერთმანეთთან წინააღმდეგობაში არ მოდის, არც არათანიმდევრულია, არამედ ხელს უწყობს დაწესებულის ძირითადი საქმიანობის განხოციელებას.

3. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია აქტივობები და მისი ფუნქციობი, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს დაწესებულების შიგნით მიმდინარე პროცესების ხარისხს იმგვარად, რომ გამორიცხულია ინტერესთა კონფლიქტი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება;
- აკადემიის სტრუქტურა;
- შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ს დირექტორის 2020 წლის 21 დეკემბრის №01-46 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის სამუშაო აღწერილობები“ და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ს დირექტორის 2020 წლის 12 მარტის №01-10 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა 2020-2026;
- შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ს დირექტორის 2021 წლის 14 იანვრის №01-01 ბრძანებით დამტკიცებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და სამოქმედო გეგმა;
- ინტერვიუს შედეგები.

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას.

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ- ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითსა და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის შესაბამისად. დაწესებულების პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში ადამიანური რესურსი განსაზღვრულია როგორც - ადამიანები, რომლებიც ინდივიდუალურად ან/და ჯგუფურად მუშაობენ კოლეჯის წინაშე მდგარი მიზნებისა და ამოცანების მიღწევისათვის. თითოეულ დასაქმებულში გაერთიანებულია მისი ცოდნა, უნარები, გამოცდილება, შესაძლებლობები, პიროვნული თვისებები, ინტერესები, მიზნები, მისწრაფებები. კოლეჯს განსაზღვრული აქვს ადამიანური რესურსების მართვის მიზნები და ამოცანები. ადამიანური რესურსების მართვის მიზანია: კოლეჯის შესაბამისი კომპეტენტური და მოტივირებული პერსონალით უზრუნველყოფა ; დასაქმებულ პირთა გუნდური, ერთობლივი და წარმატებული მუშაობის ხელშეწყობა; დასაქმების გამჭირვალე პროცედურები, სამართლიანი და ეფექტური დასაქმების პოლიტიკა; დ)თანამშრომელთა პროფესიული განვითარების და კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების ხელშეწყობა; ე)თანამშრომელთა საქმიანობის მონიტორინგი, მათ მიერ შესრულებული სამუშაოს სამართლიანი შეფასება და წახალისების ფორმების გამოყენება. ადამიანური რესურსების მართვის ამოცანაა : სამუშაო ადგილების შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალით დაკომპლექტება; თანამშრომელთა პროფესიულ ზრდასა და კვალიფიკაციის მუდმივ ამაღლებაზე ზრუნვა; თანამშრომლებთან ურთიერთობისას შრომის კანონმდებლობის დაცვა და სხვა ამოცანები. დაწესებულებაში ყველა პერსონალი იცნობს შინაგანაწესისა და მასში შეტანილ ნებისმიერ ცვლილებას, რაც ხელმოწერით არის დადასტურებული და ასევე, მათ მიერ დადასტურებული იქნა ინტერვიუს ფარგლებშიც.
2. დაწესებულებას პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით; აკადემიის განვითარების ყოველი მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებისას აკადემიის დირექტორის და დირექტორის მოადგილე სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში განისაზღვრება ახალი საშტატო ერთეულების საჭიროება, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს: დამატებითი ადამიანური რესურსების მოთხოვნით. ვაკანსიების კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებისა და კანდიდატთა შერჩევის შედეგად, პროფესიული განათლების პედაგოგთა შერჩევისას დგინდება მისი კვალიფიკაციის შესაბამისობა შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და ჩარჩო დოკუმენტით დადგენილ მოთხოვნებთან. კოლეჯის ადამიანური რესურსების შერჩევის მიზანია მოხდეს თანამედროვე უნარების მქონე, ჩართული, მოტივირებული და საქმისადმი ერთგული თანაშრომლებით დაკომპლექტება. აღნიშნული წესის პრაქტიკაში გადამოწმების მიზნით ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების ვებგვერდი, საკადრო დოკუმენტები, პერსონალის პირადი საქმეები, პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც გაფორმებულია შრომის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისად და ჩატარებული იქნა ინტერვიუები.
3. დაწესებულებაში პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, რაც დასტურდება მათი პირადი საქმეებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნათა დადარებით, აგრეთვე, მათ მიერ შესრულებული სამუშაოების ხარისხითა და შექმნილი დოკუმენტებით. დაწესებულებას მკაფიოდ აქვს გაწერილი პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელთაც აკმაყოფილებს დაწესებულებაში მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციები, მათი რეზიუმეების, კვალიფიკაციათა დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სერტიფიკატების მიხედვით. ასევე, ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. დაწესებულებაში თითოეული პირი მათი ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე, ჩართულია ნებისმიერი სხვა ტიპის სასწავლო პროცესში. დაწესებულებაში შეინიშნება გუნდური მუშაობის პრაქტიკა. ინტერვიუს დროს დადასტურდა, პრაქტიკულად, ყველა გამოკითხულ პერსონალში, რომ ისინი ფლობენ ინფორმაციას და მონაწილეობენ ყველა მნიშვნელოვან პროცესზე. იციან სტანდარტები, რაც დასტურდება ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ჩატარებული გამოკითხვების შედეგებით. მათ ასევე, მონაწილეობა აქვთ მიღებული დაწესებულების პოლიტიკის შემუშავებასა და ახალი მიზნებისა თუ ამოცანების დასახვაში, რაც დაადასტურეს ინტერვიუს ფარგლებში. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი გაზიარებულია ვებგვერდზე და ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომია ნებისმიერი თანამშრომლისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- 2020 წლის 11 ივლისს დირექტორის ბრძანებით N 01-25 დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი;
- შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ს დირექტორის 2020 წლის 21 დეკემბრის №01-46 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის სამუშაო აღწერილობები“ და საკვალიფიკაციო მოთხოვნები ;
- პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები;
- ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები, რეზიუმეები, კვალიფიკაციათა დამადასტურებელი დოკუმენტები და სერტიფიკატები;
- შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ს დირექტორის 2020 წლის 3 იანვრის №01-01 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესი;“
- პერსონალთან და ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე.

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას; დაწესებულებას პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერი აქვს პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმი. დოკუმენტში დადგენილი წესი და შეფასების კრიტერიუმები წინასწარაა გაცნობილი პერსონალისთვის. დაწესებულებაში შემუშავებულია პერსონალის შეფასების სისტემა, რომელიც გულისხმობს ხარისხობრივ და რაოდენობრივ შეფასებას. შეფასება ხდება წელიწადში ერთხელ დირექტორის მიერ და მოიცავს გასული სასწავლო წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასებას. შეფასება ხორციელდება სამოქმედო გეგმის ამოცანების მიხედვით წარმოდგენილი ანგარიშებზე დაყრდნობით, დაკვირვებით და ასევე, პროფესიული მასწავლებლების და პროფესიული სტუდენტების მიერ წინასწარ შემუშავებული კითხვარების საფუძველზე, რისთვისაც გამოიყენება წინასწარ შემუშავებული პერსონალის შეფასების კითხვარი. პროფესიული მასწავლებლების შეფასება ხდება სტუდენტის მიერ წინასწარ შემუშავებული კითხვარის საფუძველზე. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოების შეფასებისა და სტუდენტების მიერ პროფესიული განათლების მასწავლებელთა შეფასების შედეგები, ასევე გაცემული რეკომენდაციები. ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებითა და დაწესებულების დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ 2021 წლის სამოქმედო გეგმაში კოლეჯს ბიუჯეტში გათვალისწინებული აქვს თანხა 1000 ლარის ოდენობით პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პერსონალის განვითარების ღონისძიებებისა და ტრენინგებისთვის.
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით. პერსონალის განვითარების მექანიზმი გაწერილია პერსონალის მართვის პოლიტიკის მე-7 მუხლში ,,პერსონალის შეფასება და სამუშაო კმაყოფილების მონიტორინგი“. პერსონალის შეფასების მიზანია უზრუნველყოს აკადემიის თანამშრომელთა პროფესიული უნარებისა და კომპეტენციების ობიექტური შეფასება და მასზე დაყრდნობით განსაზღვროს პერსონალის წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შესაბამისი აქტივობები. ადმინისტრაციის წარმომადგენელთა განმარტებით პერსონალის შეფასების სისტემა გულისხმობს ხარისხობრივ და რაოდენობრივ შეფასებას, შეფასება ხდება წელიწადში ერთხელ დირექტორის მიერ (ახალი სამოქმედო გეგმის შედგენამდე) და მოიცავს გასული სასწავლო წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასებას. შეფასება ხორციელდება სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშებზე დაყრდნობით, დაკვირვებით და ასევე პროფესიული მასწავლებლების და პროფესიული სტუდენტების მიერ წინასწარ შემუშავებული კითხვარების საფუძველზე, რისთვისაც გამოიყენება წინასწარ შემუშავებული პერსონალის შეფასების კითხვარი. პროფესიული მასწავლებლების შეფასება ხდება სტუდენტის მიერ წინასწარ შემუშავებული კითხვარის საფუძველზე. აღნიშნულის შემდეგ ახდენენ პერსონალის განვითარების საჭიროებების გამოვლენას, რაც ისახება სამოქმედო გეგმებში შესაბამისი ბიუჯეტის მითითებით. აღწერილი პროცედურის პრაქტიკაში გამოყენების საკითხის გადამოწმება მოხდა ადმინისტრაციულ პერსონალთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების დროს, რომლებსაც გავლილი აქვთ ტრენინგები და ასევე, სამოქმედო გეგმების შესწავლით, რომელშიც ასახულია როგორც დამოუკიდებელ აქტივობად შესაბამისი ბიუჯეტით. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა ზემოთაღწერილი წესების პრაქტიკული გამოყენებაც.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით; დაწესებულება პერსონალის ზრდა - განვითარებისათვის აკადემიას ატარებს გამოკითხვებს, ტრენინგებს, კონფერენციებს, აფასებს შესრულებულ სამუშაოს და საჭიროების შემთხვევაში კვალიფისკაციის ამაღლების მიზნით ახდენს მომზადება- გადამზადებას. ინტერვიუს დროს პერსონალის გამოკითხვისას დადასტურდა, რომ ისინი მონაწილეობას იღებენ ზემოთ ხსენებულ ღონისძიებებში. საჭიროებისამებრ იწვევენ დარგის ექსპერტებს.
4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან; აკადემია ხელს უწყობს ახალი თანამშრომლების ადაპტაციას სამუშაო გარემოსთან და ხელს უწყობს ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, უშუალო უფროსი და კოლეგები. ახალი თანამშრომელი ეცნობა და ხელს აწერს თანხმობის შესახებ შემდეგ დოკუმენტებზე: აკადემიის დებულებათა კრებული; აკადემიის შრომის შინაგანაწესი; სამუშაო აღწერილობა; საჭიროების შემთხვევაში პირადი მონაცემების გამოყენება და ვიდეო კონტროლის განხორციელება; ვიზიტის დროს ექსპერტები ვთანხმდებით რომ თანამშრომელთა ინტეგრაცია სამუშაო გარემოსთან არ აქვს ფორმალური სახე, არამედ ხორციელდება რეგულაციების შესაბამისად.
5. დაწესებულებაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. თითოეული დასაქმებულის წახალისება ხორციელდება შინაგანაწესის მე-14 მუხლის მიხედვით, რომელიც თანამშრომელს მოვალეობის კეთილსინდისიერად და სანიმუშოდ შესრულებისთვის წაახალისებს მადლობის გამოცხადებით, პრემიის გაცემით, ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვებით, რომელიც ხდება დირექტორის ბრძანების საფუძველზე. ასევე პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-8 მუხლის მიხედვით პერსონალის შენარჩუნებისთვის დაწესებულება უზრუნველყოფს შრომის ანაზღაურების მომატებას-სამუშაო დატვირთვის, კვალიფიკაციისა და გაწეული შრომის შესაბამისად; საჭირო შემთხვევაში შეღავათიან შრომით დატვირთვას - ფუნქციებისა და შესაძლებლობების მიხედვით; კომფორტულ სამუშაო გარემოს - ურთიერთპატივისცემას, თანასწორობას, ეთიკურობას, გუნდურობასა და სამართლიანობას. დაწესებულებაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ხორციელდება პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული წახალისებისა და კიდევ პროფესიული განვითარებისთვის განხორციელებული აქტივობების ამსახველი დოკუმენტების წარმოება, რაც შესწავლილი იქნა ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- 2020 წლის 11 ივლისს დირექტორის ბრძანებით N 01-25 დამტკიცებული შინაგანაწესი (ბოლო ცვლილება 13/08/21 წ.);
- 2020 წლის 11 ივლისს დირექტორის ბრძანებით N 01-25 დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი;
- პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარები;
- პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგები;
- პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის შედეგები;
- პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის განხორციელებული აქტივობების ამსახველი დოკუმენტები;
- 2021 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც ასახულია პერსონალის განვითარების გეგმის შესაბამისი ბიუჯეტი;
- სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები;
- პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N05.27.31.014 და დადგინდა, რომ დაწესებულებას ქ. ბათუმში, გორგასლის ქ. 67-ში ავტორიზაციის ვადით იჯარის ხელშეკრულება დადებული აქვს საქართველოს უსინათლოთა კავშირის აჭარის შპს ,,სინათლესთან“ (ს/კ 245415135), რომლის საფუძველზე იყენებს მე-2 და მე-3 სართულზე განთავსებულ ოთახებს ფართით 540 მ 2 + 115 მ2 სულ 655 კვ. მეტრ ფართს. ფართს გააჩნია დამოუკიდებელი შესასვლელი და გამოყენებადია სასწავლო დაწესებულების სპეციფიკის შესაბამისად. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმებული იქნა რეესტრის ამონაწერი, იჯარის ხელშეკრულება, ადგილზე მოხდა ფართის დათვალიერება. აღნიშნულ ფართში განთავსებულია 23 კომპიუტერი კომპლექტში,13 ნოუთბუქი, 9 პრინტერი/კომბაინი, 3 პრინტერი, 4 პროექტორი, 5 მონიტორი, 5 აუდიოაღჭურვილობა, სასწავლო ინვენტარი, პროფესიული პროგრამების განხორციელებისთვის მინიმალური აღჭურვილობით განსაზღვრული დაკომპლექტებული C გარემოები, ადმინისტრაციისთვის საჭირო ინვენტარი და კომპიუტერული ტექნიკა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულებას მიერ წარმოდგენილი იქნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებისთვის განკუთვნილი სივრცეების შესახებ შევსებული სპეციალური ფორმა, რომლის შესწავლის საფუძველზე და ვიზიტის ფარგლებში ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის სისწორე და იჯარით აღებულ ფართში სივრცეებს მინიჭებული აქვთ შემდეგი ფუნქციური მნიშვნელობა:

- ფოიე;
- A გარემოები თეორიული სწავლებისთვის -8 ოთახი;
- კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი B გარემოები -2 ოთახი;
- სივრცე ადმინისტრაცისთვის - 3 ოთახი;
- სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის - 1 ოთახი;
- ბიბლიოთეკა - 1 ოთახი;
- სამედიცინო კაბინეტი -1 ოთახი;
- სამუშაო და დასასვენებელი სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის, მათ შორის სპორტულ/შემოქმედებითი საქმიანობისთვის - შესაბამისი ინვენტარით მოწყობილი ფოიე მე-3 სართულზე (სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია შაშის და ჭადრაკის სათამაშო ინვენტარი) ;
- არქივი- 1 ოთახი;
- სველი წერტილები, მათ შორის შშმ პირებისათვის - 2-2 საპირფარეშო თითო სართულზე;

აღნიშნულ ფართებში სასწავლო მიზნებისთვის განთავსებულია შემდეგი ინვენტარი:

სტუდენტის მაგიდა 2 ადგილიანი - 68 ცალი;

სტუდენტის მაგიდა 3 ადგილიანი - 24 ცალი;

მასწავლებლის მაგიდა - 16 ცალი;

სკამი - 310 ცალი;

დაფა 13 ცალი.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის, რაც დადასტურებული იქნა მათთან ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების დროსაც. დაწესებულებაში არსებული რეგულაციის თანახმად, ზემოთ ჩამოთვლილი მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის.
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, რომელზე პასუხისმგებლები არიან დაწესებულების დამლაგებლები. სანიტარულ ჰიგიენური ნორმებისა და კოვიდუსაფრთხოების ნორმების დაცვის კონტროლზე კი პასუხისმგებელია დაწესებულების ექთანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, რაც დასტურდება ადგილზე ვიზუალური დათვალიერებითა და კომუნალური გადახდების ქვითრების გადამოწმებით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები. კერძოდ დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებულ სპეციალისტთან, რომელსაც აქვს შემუშავებული შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა და გაწერილი აქვს ფუნქცია-მოვალეობები. აღნიშნული თანამშრომელი ვალდებულია უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენციის მიზნით, უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვა და მართვა, შრომის უსაფრთხოების ყველა წესის დაცვა, შრომის პირობების და ფაქტორების რისკების შეფასება და პრევენციული ღონისძიებების დასახვა, შრომითი დაცვის ყველა კომპონენტისათვის ინსტრუქციების შემუშავება და მონიტორინგი, მონიტორინგის ჟურნალების წარმოება.შრომითი დაცვის სწავლებისა და ტრენინგების ორგანიზება აკადემიის ადმინისტრაციული, პროფესიული მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტების და მესამე პირებისთვის. ასევე, თანამშრომლობისა და მენეჯმენტის კორდინაციის ორგანიზება ურთიერთმხარდაჭერის საფუძველზე, აღჭურვილობების და ტექნიკური საშუალებების ტექნიკური მდგომარეობების ინსპექტირება, უსაფრთხო შრომითი გარემოს უზრუნველყოფა, დაცვის სამსახურის თანამშრომლის ზედამხედველობა უსაფრთხო გარემოს მონიტორინგის უზრუნველსაყოფად, მთავრობის დადგენილებით შრომის უსაფრთხოების სპეციალისტისთვის განსაზღვრული მოვალეობების შესრულება. ინტერვიუს ფარგლებში პროფესიულმა სტუდენტებმა დაადასტურეს რომ უსაფრთხოების წესებთან დაკავშირებით ინსტრუქტაჟი უტარდებათ სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად, სასწავლო ლაბორატორიაში შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პირი, აცნობს შრომის უსაფრთხოების წესს, რაც ასევე დასტურდება ლაბორატორიაში პროფესიული სტუდენტების შრომის უსაფრთხოების წესის გაცნობის/ინსტრუქტაჟის ჩატარების ჟურნალში ხელმოწერით.
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები - საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების 24-ე მუხლში გაწერილია ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო მიზნით გამოსაყენებელი სახარჯი მასალის და ნედლეულის შენახვის, გამოყენების და სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვის, ჩამოწერისა და ნარჩენების უტილიზაციის წესები“, აგრეთვე, დირექტორის 2020 წლის 10 აგვისტოს N01/19 ბრძანებით დამტკიცებულია ,,მატერიალური რესურსების გამოყენების ზოგადი წესი“, რომელთა საფუძველზეც განხორციელდება სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის საჭირო მასალა-ნედლეულის შეძენის, შენახვის, გამოყენებისა და ნარჩენების მართვის პროცესები.
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას - დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის დებულებაში გაწერილია მატერიალური რესურსების შეფასების პროცედურა, შემუშავებულია მატერიალური რესურსების შეფასების ფორმა, რომელიც ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეთა კვლევის კომპონენტს რესურსების არსებობასთან, საკმარისობასთან და ეფექტიანობასთან დაკავშირებით. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ წარმოდგენილი იქნა პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვის შედეგები, რომელიც მოიცავდა დაწესებულების რესურსების შეფასებას, ასევე დაწესებულების მიერ აღნიშნული კვლევის საფუძველზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვთ მატერიალური რესურსების განახლების აქტივობები, რომლისთვისაც გამოყოფილია ფინანსური სახსრები კოლეჯის ბიუჯეტიდან.

8. დაწესებულების მფლობელობაში არსებულ ფართზე მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები ქალებისა და მამაკაცებისთვის, რომლებშიც უზრუნველყოფილია მუდმივი წყლით მომარაგება, უწყვეტი განათება, ვენტილაცია, პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობა და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. თითოეულ სველ წერტილში განთავსებულია ჰიგიენის საშუალებები, ხელის ელექტროსაშრობები, ქაღალდის პირსახოცის დისპანსერი, ასევე ნარჩენებისთვის უკონტაქტო კალათა. დაწესებულებაში შშმ პირებისთვის მოწყობილია პანდუსები, რომელთა გამოყენებითაც მათ წვდომა ექნებათ დაწესებულების ნებისმიერი დანიშნულების ფართთან: აუდიტორიასთან, ადმინისტრაციის კაბინეტებთან, ბიბლიოთეკასთან თუ სხვა დანიშნულების ფართებთან, ასევე დაწესებულებაში შშმ პირებისთვის მოწყობილია დამოუკიდებელი საპირფარეშო.
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა - ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას - დაწესებულების სარგებლობაში არსებულ ფართში სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას, ოთახების განლაგებით უზრუნველყოფილია დამოუკიდებელი სამუშაო სივრცეები, ასევე გამოყოფილია სივრცეები პროფესიული სტუდენტებისათვის და სამუშაო სივრცე პროფესიული განათლების მასწავლებელთათვის.
11. პროფესიული სტუდენტებისთვის და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, აღნიშნული რესურსის გამოყენება რეგულირდება კოლეჯში არსებული ბიბლიოთეკის დებულებით, ბიბლიოთეკის სარგებლობის წესით. ბიბლიოთეკაში სამკითხველო დარბაზი მოწესრიგებულია, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, განთავსებულია განათების საშუალებები, კომპიუტერული ტექნიკა, ქსეროქსის, პრინტერის და სკანერის აპარატი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- უძრავი ქონების მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ამონაწერები საჯარო რეესტრიდან და იჯარის ხელშეკრულება);
- შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზი;
- მოძრავი ქონების, მათ შორის სასწავლო რესურსის, ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ელექტროენერგიის, წყლისა და ბუნებრივი აირის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- სანიტარიული ნორმების დაცვის მექანიზმის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- დაწესებულების მატერიალური რესურსის გამოყენების რეგულაცია;
- სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების რეგულაცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის რეგულაცია;
- ნარჩენების მართვის რეგულაცია;
- ინვენტარის აღწერის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- სამკითხველო დარბაზის, საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსების, ელექტრონული მართვის მოქმედი სისტემისა და კატალოგის შემოწმების შედეგი;
- ინტერვიუს შედეგები;
- დათვალიერების შედეგები.
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის სერტიფიკატი
- შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი;
- ვიზუალური დათვალიერებით.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება.

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში **დაცულია უსაფრთხოების ზომები;**
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრაზე სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობა (N01502338/11.06.2019). შემოწმების დროს გამოვლენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევათა აღმოფხვრის მიზნით, შესრულების ვადების მითითებით, გაწერილია სავალდებულო ღონისძიებათა ჩამონათვალი 15 პუნქტის სახით. კოლეჯის მიერ ვადებში შესრულებულია აღნიშნული მიწერილობით გათვალისწინებული ღონისძიებები, გარდა 1-ლი (სახანძრო სიგნალიზაციის მონტაჟის შესახებ სამისამართო მართვის პულტით), მე-3 (მეორე საევაკუაციო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გასასვლელის მოწყობის შესახებ), მე-5 (კარის გაღების მიმათულების შეცვლის შესახებ) და მე-10 (კიბის უჯრედის განიავების შესახებ). ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ინდიკატორის მოთხოვნა შეფასდა როგორც შეუსაბამო და დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ **უნდა უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრაზე სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობით (N01502338/11.06.2019) განსაზღვრული ყველა ღონისძიების შესრულება. დაწესებულების მიერ მოწერილი არგუმენტირებული პასუხისა და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ მათ მიერ სრულად იქნა გაზიარებული ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრება და წარმოდგენილი იქნა 45-დღიანი შესაბამისობის გეგმა (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N01-25 (01.09.2021), რომლის მიხედვით მათ მიერ უზრუნველყოფილი იქნება ა.წ. 15 ოქტომბრამდე სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობის (N01502338/11.06.2019) ყველა, დარჩენილი ხარვეზის აღმოფხვრა. დამატებით მტკიცებულებად წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადებისა და შესასრულებელი სამუშაოების მიხედვით გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებები. აღნიშნული ხელშეკრულებების მიხედვით დაწესებულებას აღებული აქვს საავანსო თანხების გადახდის ვალდებულება.**

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ მოხდა აღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლა და ამის საფუძველზე ინდიკატორის მოთხოვნები შეფასდა როგორც მეტწილ შესაბამისობაში მყოფი.

კოლეჯის მიერ ასევე წარმოდგენილია კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობის უსაფრთხოების შესახებ. დასკვნის საფუძველზე შენობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მას არ გააჩნია ჯდენითი ან სხვა რაიმე მიზეზით გამოწვეული დეფორმაციის ნიშნები.

2. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, უნდა აღინიშნოს, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ვიზიტის ფარგლებში დათვალიერებითა და ინტერვიუებით დგინდება, რომ დაწესებულების ყველა ფართში დადგენილი ნორმების შესაბამისად გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, განთავსებულია დაკვამლიანების დეტექტორები, ცეცხლმაქრები, მანიშნებლები, პლაკატები და სხვ. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. კერძოდ, შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემიის დირექტორის 2020 წლის 21 დეკემბრის N01-47 ბრძანებით დამტკიცებულია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის და წესრიგის დაცვის მექანიზმები, რომელშიც გაწერილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. კოლეჯში პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით შესაბამისი ინვენტარით მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას უზრუნველყოფს აკადემიის დირექტორის მიერ დანიშნული სამედიცინო განათლების მქონე პირი - ექთანი, რომლის ხელშეკრულება გაფორმებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, ხოლო თავად ექთნის კომპეტენცია შესაბამისობაშია აკადემიის მიერ გაწერილ სამუშაო აღწერილობებთა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. ისეთი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საჭიროებისას, რომლის კომპეტენცია არ აქვს აკადემიას, ოპერატიულად გამოძახებული იქნება სასწრაფო დახმარება. თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია 112- ის ტელეფონის ნომერი, რომელზეც უნდა მოხდეს დაკავშირება პირველადი გადაუდებელი დახმარების საჭიროების შემთხვევაში. აკადემიის ექთანი აწარმოებს ჟურნალში მომართვიანობის აღრიცხვას, რაც დადასტურდა როგორც ინტერვიუებით, ისე ადგილზე სამედიცინო კაბინეტის ვიზუალური დათვალიერებით. აგრეთვე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დირექტორის 2020 წლის N01-13 ბრძანებით დამტკიცებულია სამუშაო ადგილების, სამუშაო სივრცისა და გამოყენებული სამუშაო აღჭურვილობების დეზინფექციის ჩატარების გრაფიკი. შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ სამუშაო ადგილებზე ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 11 ივნისის N 01-13 ბრძანებით დამტკიცებულია საგანგებო სიტუაციების ინსტრუქტაჟი, რომელშიც გაწერილია ყველა ის მოქმედება და პასუხისმგებელი პირი, რომლის დაცვის ვალდებულება აკისრია დაწესებულებებს სამუშაო ადგილებზე.

3. ასევე, დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი.შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემიის დირექტორის 2020 წლის 8 ივლისის N01-23 ბრძანებით დამტკიცებულია საგანგებო სიტუაციებში მოქმედების გეგმა. დაწესებულებაში უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია სერტიფიცირებული პირი და ასევე, დაწესებულებას აქვს გაფორმებული ხელშეკრულება სახელმწიფო დაცვის სამსახურთან, რომლებიც უზრუნველყოფენ შენობის შიგნით და გარე პერიმეტრზე წესრიგისა და ქონების 24 საათიან დაცვას. ამ უკანასკნელმა უნდა აკონტროლოს ცეცხლმაქრების ვარგისიანობა (წნევის ვარდნა) და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფდეს სტუდენტების და თანამშრომლების დაწესებულებიდან სწრაფად და ორგანიზებულ გაყვანას. ასევე, სამსახურმა დროულად უნდა უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში დარეკვა და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება.

   ევაკუაციის გეგმა შემუშავებულია კომპეტენტური ორგანოს მიერ და ორივე სართულზეა განთავსებული. კოლეჯის ტერიტორიაზე სამოქალაქოუსაფრთხოების დაცვის მიზნით შექმნილია საგანგებო შტაბი, რომლის მიზანია ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან პროფესიულ სტუდენტთა და დასაქმებულთა დაცვის საერთო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების წარმართვა. კოლეჯის მიერ ასევე წარმოდგენილია კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობის უსაფრთხოების შესახებ. დასკვნის საფუძველზე შენობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მას არ გააჩნია ჯდენითი ან სხვა რაიმე მიზეზით გამოწვეული დეფორმაციის ნიშნები.

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას, რომლისთვისაც კოლეჯში შემუშავებულია წესრიგის დაცვის მექანიზმები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ამ მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სახელმწიფო დაცვის სამსახურთან და ასევე, პერსონალის სამუშაო აღწერილობებში გაწერილი აქვს დაცვის თანამშრომლის ფუნქცია-მოვალეობები, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 21 დეკემბრის N01-46 ბრძანებით. დაცვის თანამშრომელი ვალდებულია: დაიცვას სტუდენტები, პერსონალი და დაწესებულების ქონება. აგრეთვე უზრუნველყოს უსაფრთხო, მშვიდი სამუშაო და სასწავლო გარემო; სასწავლო პერიოდში არ დაუშვას სასწავლების სივრცეზე ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე უცხო პირები; როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვალდებულია უხელმძღვანელოს შენობის სრული ან ნაწილობრივი ევაკუაციის პროცესს საგანგებო სიტუაციების დროს; დახმარება გაუწიოს შეუფერხებელი გადაადგილებისათვის დაწესებულების მთელ ტერიტორიაზე სსსმ და შშმ პროფესიულ სტუდენტებს; დაცვის მუშაკს აქვს უფლება სათანადო ეჭვის ან აშკარა გარეგნული ნიშნების არსებობის დროს შეუმოწმოს პირს პირადობის მოწმობა და საჭიროების შემთხვევაში მოსთხოვოს შენობის დატოვება ან იძულებით დაატოვებინონ შენობა. დაცვის მუშაკი ვალდებულია არ დაუშვას დაწესებულებაში თამბაქოს მოწევა, ხოლო თამბაქოს მოწევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების ფარგლებში დაუყოვნებილ აღკვეთოს იგი და სხვ. კოლეჯის ტერიტორიაზე კოლეჯის საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად გამოიყენება ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა აუდიო ჩანაწერის გარეშე. ამ სისტემით განხორციელებულ ვიდეო-მასალაზე დაშვების უფლება „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა დაცვით აქვს:

- კოლეჯის დირექტორს;
- დაცვის სამსახურს;
- საჭიროების შემთხვევაში სხვა პირებს დირექტორის თანხმობით.

კოლეჯში დამონტაჟებულია შიდა ტერიტორიის სათვალთვალო კამერები, ხოლო გარე პერიმეტრის გაკონტროლება ხდება მიმდებარე ობიექტის გარე სათვალთვალო კამერების ჩანაწერებით, რომელზე წვდომაც გააჩნია კოლეჯის მიერ ხელშეკრულებით აყვანილ დაცვის სამსახურს, ვინაიდან მათ მიერვე ხორციელდება მიმდებარე ობიექტის დაცვაც. შესაბამისად კოლეჯის მიერ უზრუნველყოფილია როგორც შიდა, ასევე გარე პერიმეტრზე წესრიგის დაცვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრაზე სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობა;
- შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემიის დირექტორის 2020 წლის 21 დეკემბრის N01-47 ბრძანებით დამტკიცებული პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის და წესრიგის დაცვის მექანიზმები;
- დაწესებულების ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულება და სამუშაოს აღწერილობა;
- ექთნის კაბნეტის ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობის უსაფრთხოების შესახებ;
- შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერების სისტემის შემოწმების შედეგი;
- სახელმწიფო დაცვის სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემიის დირექტორის 2020 წლის 8 ივლისის N01-23 ბრძანებით დამტკიცებული საგანგებო სიტუაციებში მოქმედების გეგმა.
- დირექტორის 2020 წლის N01-13 ბრძანებით დამტკიცებულია სამუშაო ადგილების, სამუშაო სივრცისა და გამოყენებული სამუშაო აღჭურვილობების დეზინფექციის ჩატარების გრაფიკი.
- ინტერვიუს შედეგები;
- პერსონალის ფუნქცია მოვალეობები;
- ინვენტარის ფლობის დოკუმენტაცია;
- წესრიგის, უსაფრთხოების პირობების დარღვევის და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის რეგისტრაციის ჟურნალით;
- შესაბამისობის გეგმა, დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N01-25 (01.09.2021);
- ხელშეკრულებები შესაბამისობის გეგმაში მითითებული სამუშაოების შესრულებისთვის;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს, რადგან აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების რაოდენობით. ადმინისტრაციის მიერ გამოიყენება 4 კომპიუტერი და 2 პრინტერი. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა უზრუნველყოფს დაწესებულებაში ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას. დაწესებულებაში 2 კომპიუტერიული ლაბორატორიაა, რომელშიც განთავსებულია 23 კომპიუტერი. ხელმისაწვდომია როგორც უკაბელო, ასევე კაბელიანი ინტერნეტი, რაც დასტურდება ინტერნეტ პროვაიდერთან (სს „სილქნეტი“) გაფორმებული ხელშეკრულებით და ვიზიტის დროს ადგილზე გადამოწმებით. ასევე, წარმოდგენილია გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტიც.
2. კოლეჯი ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას, რაც უზრუნველყოფს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე კოლეჯის სტუდენტებს, ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს შეუქმნას სწავლისა და მუშაობისთვის შესაბამისი პირობები. ამისათვის კოლეჯში შექმნილია კომპიუტერული ქსელი, ხედება მისი მართვა და სისტემატიური განახლება, მისი უსაფრთხოების დაცვა, ახალი მომხმარებლების ჩართვისათვის საჭირო სამონტაჟო და პროგრამული სამუშაოების ჩატარება; კოლეჯის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ოფიციალური ვებ–გვერდის მუდმივი განახლება, მასალების მომზადებაში მონაწილეობის მიღება და ვებ–გვერდზე განთავსება; კოლეჯის კომპიუტერული ტექნიკისათვის პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, სისტემური და პროგრამული დარღვევების აღმოფხვრა, ვირუსებისგან გაწმენდა, კომპიუტერული ტექნიკის მოდერნიზაცია და რემონტი; კომპიუტერული ლაბორატორიების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა; პრეზენტაციებისათვის, სხვადასხვა ღონისძიებებისათვის შესაბამისი აპარატურის მომზადება და გამართული ფუნქციონირება; ელექტრონული მასალების მომზადებაში ადმინისტრაციის ხელმძღვანელობისათვის და ადმინისტრაციის სხვა საშტატო ერთეულებისთვის დახმარების გაწევა; კომპიუტერული და სხვა ტექნიკის საგარანტიო უზრუნველყოფის ექსპერტიზა და მისი განხორციელების მონიტორინგი; ინტერნეტის მიწოდების უზრუნველყოფა და საჭიროების შეზღუდვა.

დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს საფუძველზე ირკვევა, რომ ყოველი სემესტრის დასაწყისში მიმდინარეობს კომპიუტერების მოწესრიგება, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას. დირექტორის 2020 წლის 11 ივლისის N01-25 ბრძანებით დამტკიცებულია შპს. ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ს პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფის წესი, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ სტუდენტის/პედაგოგის შესახებ პირადი ინფორმაცია გაიცემა მხოლოდ პირადად სტუდენტზე/პედაგოგზე, ან მათი ნდობით აღჭურვილ პირზე (ნოტარიულად დამოწმებული). სტუდენტის/პედაგოგის პირადი ინფორმაცია მათი თანხმობით (განცხადება/ხელშეკრულება) შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სასწავლო, ან საავტორიზაციო მიზნებისთვის. სტუდენტთა/პედაგოგთა პირადი ინფორმაციის შენახვასა და გაცემას ახორციელებს საქმისწარმოების სამსახური.
4. დაწესებულება აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას. მისი ძირითადი საქმიანობის სფეროა საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე კოლეჯის სტუდენტებს, ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს შეუქმნას სწავლისა და მუშაობისთვის შესაბამისი პირობები. ინტერვიუირებით ირკვევა, რომ ყოველი სემესტრის დასაწყისში კომპიუტერულ ლაბორატორიებში მიმდინარეობს კომპიუტერების მოწესრიგება და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა. ასევე, გარკვეული შეფერხებების წარმოქმნის შემთხვევაში პრობლემების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა.
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია კოლეჯის IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება. დაწესებულების მიერ გამოყოფილია კომპიუტერები ადმინისტრაციისათვის, მასწავლებლებისათვის და სტუდენტებისათვის, რაც დასტურდება ვიზუალური დათვალირებით და ინტერვიუირებით. ასევე, ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებულია ხელშეკრულება და წარმოდგენილია სს სილქნეტის სატელეკომუნიკაციო მომსახურების საგადასახადო ანგარიშფაქტურა.
6. კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით. პერსონალისთვის და პროფესიული სტუდენტებისთვის შექმნილია კოლეჯის დომეინით ელ-ფოსტის მისამართები. ასევე, ახალი თანამშრომლების შემთხვევაში მყისიერად ხორციელდება მისთვის მონაცემების მიწოდება ელ-ფოსტების შექმნის მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ინტერვიუს საფუძველზე ირკვევა, რომ Facebook Messenger-ში შექმნილია ჯგუფები, რომლითაც ასევე ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება. აღნიშნული ჯგუფების მიმოწერა დათვალიერებული იქნა ვიზიტის ფარგლებში და დასტურდება, რომ კოლეჯი რეალურად იყენებს მას პროფესიულ სტუდენტებთან კომუნიკაციის ერთერთ საშუალებად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 2020 წლის 22 დეკემბრის N01-49 ბრძანებით დამტკიცებული შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესები და პროცედურები;
- დაწესებულების დომეინით პერსონალისთვის ამოქმედებული ელ-ფოსტების ვიზუალური დათვალიერება;
- პროფესიული სტუდენტებისთვი შექმნილი facebook-ის ჯგუფის ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერნეტ პროვაიდერთან (სს „სილქნეტი“) გაფორმებული ხელშეკრულებით;
- სს სილქნეტის სატელეკომუნიკაციო მომსახურების საგადასახადო ანგარიშფაქტურით;
- დირექტორის 2020 წლის 11 ივლისის N01-25 ბრძანებით დამტკიცებული შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ს პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფის წესი;
- ინტერვიუს შედეგები;
- ვიზუალური დათვალირება.

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების ერთიანი წესები, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 9 ივლისის ბრძანებით N01-24. აღნიშნული წესის მიხედვით, რომელიც ძალზე ზოგადი სახით და მშრალადაა წარმოდგენილი, თუმცა პრაქტიკულად კოლეჯის საქმისწარმოება აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს, კოლეჯის საქმისმწარმოებელი აწარმოებს ჟურნალებში სხვადასხვა დოკუმენტების აღრიცხვას. აღნიშნული ჟურნალები დამუშავებულია წესის შესაბამისად, გადანომრილია ფურცლები, ზონარგაყრილი, ხელმოწერილი და ბეჭედდასმულია.

   ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით სასურველია საქმისწარმოების ერთიან წესებში მეტად დეტალურად გაიწეროს სხვადასხვა პროცედურები (დოკუმენტბრუნვის ორგანიზაცია და შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვა, შემოსული დოკუმენტაციის დამუშავება და აღრიცხვა, დოკუმენტის განხილვა და პასუხის მომზადება, გასაგზავნი დოკუმენტების დამუშავება და აღრიცხვა, მმართველობითი დოკუმენტების მომზადება, ხელშეკრულებების აღრიცხვა, დავალებათა მომზადება, უცხოეთიდან შემოსული დოკუმენტაციის განხილვა, დოკუმენტის ასლების დამზადება, შენახვა, დოკუმენტების შესრულების კონტროლი დიპლომების რეგისტრაცია და აღრიცხვა და სხვ.) და მათი შესრულების ვადები.
2. დაწესებულების მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის. კოლეჯი ჩართულია და მართვაში იყენებს Eflow-ს სისტემას, რომლის გამოყენება დასტურდება ვიზიტის ფარგლებში ვიზუალური დათვალიერებით.
3. კოლეჯი ჩართულია პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში და ახორციელებს მასში ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა მისი შევსების სისრულე. რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელო პირი საქმისმწარმოებელია, რომელთანაც ჩატარდა ინტერვიუ. მან დეტალურად განმარტა თუ რა ვადებში და რა ტიპის ინფორმაცია შეაქვს სისტემაში. ყოველივე აღნიშნული, ადასტურებს, რომ დაწესებულება რეალურად ახდენს რეესტრის სწორად წარმოებას.
4. დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან, რაც დასტურდება მათ მიერ მიღებული დავალებებისა და გაგზავნილი პასუხების საფუძველზე. მაგ. კოლეჯმა თვითშეფასების ანგარიში ჩააბარა ვადაში 2020 წლის 31 ივლისს, ხოლო დანართები 10 ოქტომბერს, რომელთა წარდგენისას დაცულია ვადები. ექსპერტების მიერ დათვალიერებული იქნა კოლეჯის ელექტრონულ ფოსტასა და Eflow ელექტრონულ სისტემაში წარმოებული მიმოწერის ვადები, რითიც დასტურდება ყოველივე ზემოაღნიშნული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 2020 წლის 9 ივლისის ბრძანებით N01-24 დამტკიცებული საქმისწარმოების ერთიანი წესები;
- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების დათვალიერებით ;
- Eflow ელექტრონული სისტემის (პროგრამული უზრუნველყოფა) დათვალიერებით;
- სარეგისტრაციო ჟურნალების დათვალიერებით;
- ინტერვიუს შედეგებით.

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას.

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს; ვებ-გვერდი www. https://www.bpa.ge/ იძლევა მარტივი ნავიგაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მთავარ გვერდზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას; ვებ-გვერდზე განთავსებული დაწესებულების მისია, საქმიანობა, სტრუქტურა, დებულებები,შიდა ნორმატიული აქტები, ინფორმაცია პროგრამების შესახებ, მათ შორის მოსალოდნელი სწავლის შედეგები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, სამოქმედო და სტრატეგიული გეგმები, სამოქმედო გეგმების ანგარიშები და სხვ. ვებ-გვერდზე განთავსებულია ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი (OPAC), პროფესიული სტუდენტებისთვის, მათ შორის სსსმ პირებისთვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერის სერვისების, სასწავლო და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაცია;
2. დაწესებულებას, მისიაში არ აქვს განსაზღვრული საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, შესაბამისად, არ აქვს უცხოენოვანი ვებგვერდიც.
3. დაწესებულების მიერ გავრცელებული უზრუნველყოფილია მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელება https://www.bpa.ge/images/kat.pdf ვებგვერდითა და https://www.facebook.com/ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია ფეისბუქგვერდით;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას დაწესებულების საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. კერძოდ, იგი მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას: კოლეჯის შესახებ, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებისა და კრედიტების მინიჭების შესახებ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, დასაქმების სესაძლებლობის, კრედიტების, სწავლის შედეგების და სხვა ყველა აუცილებელი ინფორმაციის შესახებ რაც წინასწარ უნდა იცოდეს აპლიკანტმა და/ან მისმა მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, რაც დადასტურდა დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული კატალოგის დათვალიერებით. ბოლო განახლების თარიღია 2021 წელი;
6. ბათუმის საზოგადოებრივი აკადემიაში დირექტორის 2020 წლის 29 ივლისის ბრძანებით N01-30 დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რომლის მიხედვით საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს დაწესებულება იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, რაც დადასტურდა როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს, ასევე პროფესიული სტუდენტებისგან და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან მიღებული ინფორმაციით. დაწესებულება საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესში იცავს დირექტორის 2020 წლის 11 ივლისის ბრძანებით N01-25 დამტკიცებული შპს. ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ს პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფის წესის მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი https://www.bpa.ge/images/kat.pdf;
- დირექტორის 2020 წლის 29 ივლისის ბრძანებით N01-30 დამტკიცებული საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი;
- დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულება;
- https://www.bpa.ge/images/kat.pdf ვებგვერდისა და https://www.facebook.com/ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია ფეისბუქგვერდის დათვალიერების შედეგები;
- დირექტორის 2020 წლის 11 ივლისის ბრძანებით N01-25 დამტკიცებული შპს. ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ს პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფის წესი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია.

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება. კერძოდ, ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ დაწესებულების ფინანსური რესურსით სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების უზრუნველყოფის დადასტურების მიზნით გადამოწმებული იქნა კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები და დადარებული იქნა ბიუჯეტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მონაცემები. გადამოწმებისას დადგინდა, რომ სამოქმედო გეგმებში რესურსები გაწერილია სრულყოფილად. კერძოდ, იგი მოიცავდა ინფორმაციას პასუხისმგებელი პირების შესახებ და მითითებულია საჭირო ფინანსური რესურსები.

2. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით კოლეჯის საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება ყოველწლიურად ამზადებს ფინანსურ და სამოქმედო გეგმების შესრულების შესახებ ანგარიშებს. ასევე, ავტორიზაციის დებულების მოთხოვნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელმა ყველა ავტორიზებულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ დადგენილი წესით განათავსოს ყოველწლიური ფინანსური ანგარიში ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე, აქვს განხორციელებული, მიუხედავად იმისა, რომ ამის ვალდებულება ჯერ არ აქვს.
4. კოლეჯის მიერ ვებგვერდზე განთავსებულია სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები და სამოქმედო გეგმები. დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელთა განმარტებით ისინი ანალიზს უკეთებენ ყოველწლიურ ანგარიშებს, აფასებენ საკუთარ ფინანსურ შესაძლებლობებს და მდგრადობის ობიექტური შეფასების შედეგად გეგმავენ შემდეგი წლის აქტივობებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების ბიუჯეტი;
- ვებგვერდზე განთავსებული სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები;
- დაფინანსების დინამიკა;
- ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე განთავსებული ფინანსური ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1. ფარმაცია (სააფთიაქო)

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეხუთე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცებულია 2019 წლის 8 თებერვლის N01-04/21 ბრძანებით ცვლილება შესულია 20.04.2021 წლის N01-04/53 ბრძანებით
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №67
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	40
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	153

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

1.ფარმაცია (სააფთიაქო)

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება		სრულ შესაბამისობაში
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		სრულ შესაბამისობაში
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება		სრულ შესაბამისობაში
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება		სრულ შესაბამისობაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

1.ფარმაცია(სააფთიაქო)

2. საგანმანათლებლო პროგრამები

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯს შემუშავებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ რის საფუძველზეც განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ შემუშავება. გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ განხორციელების შესახებ ეფუძნება კოლეჯის მისიასა და სტრატეგიულ განვითარებას. გადაწყვეტილება შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს, როგორც დამსაქმებლების, ასევე სწავლის მსურველთა, მხრიდან;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია (სააფთიაქო)“დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც შესაბამისობაშია შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ დაშვების წინაპირობასთან, ასევე, დაწესებულების მიერ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები დამტკიცებულია 2020 წლის 27 თებერვალს დირექტორის ბრძანებით N 01-04/28 (ბოლო ცვლილება: 23.07.2021წ ბრძანება N01-23) „პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესით“, რომელიც ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას დაწყებული პროგრამაზე მიღების გამოცხადებიდან, დასრულებული პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე. დოკუმენტი ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებას და აქედან გამომდინარე, დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, , რომელიც ითვალისწინებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრას კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამტარობის საფუძველზე (კერძოდ A,B,C გარემოების ტევადობას სწავლების 2 ცვლად განხორციელებისთვის) და პარტნიორ ორგანიზაციებში თითოეულ პროფესიულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

უზრუნველყოფის შესაძლებლობის მიხედვით. კერძოდ, მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით კოლეჯი შეიმუშავებს პროფესიულ სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის დასაბუთებას თითოეული პროგრამისთვის, რომელიც ითვალისწინებს კოლეჯის ინფრასტრუქტურისა და პრაქტიკის ობიექტის შესაძლებლობებს. ასევე პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობას, გარემოების გამტარობას, პრაქტიკის ობიექტთან/პარტნიორ საწარმოსთან გაფორმებულია ხელშეკრულებები რომელიც ითვალისწინებს კლინიკური მოდულების განხორციელების შესაძლებლობას და პრაქტიკის ობიექტზე/პარტნიორ საწარმოში მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობას. კერძოდ, მხედველობაში მიიღება:

1) A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;

2) B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;

3) C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;

4) სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მტერიალური რესურსი;

5) მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის რაოდენობა;

6) პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით მოდულების კვირეული დატვირთვა;

7) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხანგრძლივობა.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“ „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაზე“ დაყრდნობით კოლეჯის ადმინისტრაციამ კვოტად განისაზღვრა 40 პროფესიული სტუდენტი, თითო მიღებაზე მაქსიმუმ 20 პროფესიული სტუდენტი, რაც შეესაბამება ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიით პროფესიულ სტუდენტთა პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის განსაზღვრას.

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები, შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან და რელევანტურია სწავლის შედეგების მისაღწევად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ფარმაცია(სააფთიაქოში“) ასახულია ყველა ის საჭირო რესურსი, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, რომლებიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“ მოიცავს ერთ არჩევით მოდულს „ მზა წამლის ფორმების კლასიფიკაცია“, რომელიც ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომლის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო) დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის დირექტორის მიერ.
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ,,ფარმაცია(სააფთიაქო)“ შეესაბამება შესაბამის ჩარჩო დოკუმენტს, პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.
8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ, მოქმედ საგანმანათლებლო სტანდარტს. დაწესებულების მიერ წარმოგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები (3 ზოგადი მოდული, ჯამური 11 კრედიტის მოცულობით და 26 პროფესიული მოდული, ჯამური 109 კრედიტის მოცულობით), სასწავლო გეგმა, ინფორმაცია დისტანციური სწავლების შესაძლებლობების, ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა (123 კრედიტი ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის, 153 კრედიტი არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის). პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 21 სასწავლო თვე (84 კვირა) პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებსაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია და 26 სასწავლო თვე (104 კვირა) არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველია ფარმაცია (სააფთიაქო) ჩარჩო დოკუმენტი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი ფარმაცია (სააფთიაქო) / Pharmacy, მეხუთე დონე, უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში - 0916.

   პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოდულების წინაპირობებს (მათ შორის ლოგიკურსაც), დაცულია დროის შუალედები განმეორებითი შეფასებისთვის, პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო დატვირთვა არ აღემატება დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 20 მაისის N01-04/66 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“,
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- 2019 წლის 8 თებერვლის N01-04/22 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება 20.04.2021 წლის N01-04/54 ბრძანებებით) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ფარმაცია (სააფთიაქო)";
- 2018 წლის 10 აგვისტოს N 01-04/122 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია";
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტი;
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ,,ფარმაცია(სააფთიაქოში)“ საჭირო მატერიალური რესურსი. კოლეჯს ფარმაცია (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების მიზნებისთვის აქვს სამი AC (ფარმაციის კაბინეტი/აფთიაქის მოდელი; ქიმიურ -ტექნოლოგიურ-ბიოლოგიური ლაბორატორია; სამედიცინო კაბინეტი) და ორი B (პროგრამის მოთხოვნების მიხედვით აღჭურვილი) გარემო და A გარემო.

   სასწავლო გარემოს მოდელი AC გარემო - ქიმიურ-სააფთიაქო-ტექნოლოგიურ-ბიოლოგიური ბლოკი - განკუთვნილია 20 პროფესიული სტუდენტისათვის. C გარემოში განთავსებულია: სამუშაო ქიმიური მაგიდები, ლაბორატორიული სკამები, გამწოვი კარადა, კარადა ქიმიური ჭურჭლისთვის, კარადა რეაქტივებისათვის, მაშრობი კარადა, მაცივარი, სითხოვანი წამალთფორმების დასაფასოებელი ჭურჭელი თავსახურებით (სხვადასხვა მასალის, ზომის და ფერის), გამშ რალი სამკურნალო მცენარეული ნედლეული, ჰერბარიუმები, სამკურნალო მცენარეული ნედლეულის წყლის შთანთქმის კოეფიციენტების ცხრილები, ალკოჰოლომეტრული ცხრილები, ხსნარის მოცულობითი გაფართოების კოეფიციენტების ცხრილები, სინჯარები, მინის წკირები, სასაგნე მინები, გრადუირებული გამზომი ცილინდრები (10,50.100,500მლ.), მინის კოლბები, სხვადასხვა ზომის შტანგლასები, წყლის აბაზანა, თერმომეტრების ნაკრები, სასწორები (ხელის), საწონების კომპლექტი, სპირტქურები, შტატივები, როდინები სასრესით (სხვადასვა ტევადობის), ნორმატიულ–ტექნიკური დოკუმენტაცია მყარი და რბილი წამლის ფორმების მომზადების წესებთან დაკავშირებით, მიკროსკოპები, რეფრაქტომეტრი, რეაქტივები, გამოკრულია ლაბორატორიაში მუშაობის უსაფრთხოების წესები, მაგიდები და კამები სტუდენტებისა და მასწავლებლითვის, დაფა და სხვა.

   აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას შესყიდული ჰქონდა რეფრაქტომეტრის სახელწოდებით ხელსაწყო, რომლის გამოყენებითაც ვერ მიიღწეოდა შესაბამისი სწავლის შედეგი. ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ აღნიშნული იცოდა პროგრამის ხელმძღვანელმა და სასწავლო პროცესში იყენებდა საკუთარ ხელსაწყოს. ავტორიზაციის ექსპერტთა განმარტების შემდეგ, რომ ხელსაწყო - რეფრაქტომეტრი აუცილებლად უნდა ყოფილიყო დაწესებულების მფლობელობაში, მან ჩუქების აქტით გადასცა კოლეჯს ნივთი. შესაბამისად, დღეისათვის რეფრაქტომეტრით გამოყენებით გარანტირებულია სწავლის შედეგის მიღწევა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სასწავლო გარემოს მოდელი AC გარემო - სააფთიაქო ბლოკი - განკუთვნილია 20 პროფესიული სტუდენტისათვის. C გარემოში განთავსებულია: სამუშაო მაგიდები, სკამები, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფით, კომპიუტერით (პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის), სასწავლო პლაკატებით, სიმულაციური აფთიაქი, შესაბამისი აღჭურვილობით, ცარიელი და შევსებული რეცეპტებით, ბავშვთა კვების, დეკორატიული კოსმეტიკის საშუალებების, ავადმყოფის მოვლის საშუალებების სხადასხვა ჯგუფის პრეპარატების სიმულაციური ნიმუშებით.

ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ მოხდა სამივე AC გარემოში განთავსებული მატერიალური რესურსის ფიზიკური, შერჩევითი დათვალიერება. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით 40 სტუდენტზე. უნდა აღინიშნოს, რომ თითო მიღებაზე დაწესებულება იღებს ჯგუფში 20 პროფესიულ სტუდენტს. პროგრამა 21 თვიანია, შესაბამისად, სწავლების მეორე წელს 20-20 პროფესიული სტუდენტის წლიურად პროგრამაზე მიღების შემთხვევაში საერთო კვოტის (40) ფარგლებში იქნება.

სასწავლო გარემოს მოდელი B გარემო , რომელშიც განთავსებულია 21 პერსონალური კომპიუტერი განკუთვნილია პროფესიული სტუდენტებისათვის, ხოლო ერთი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის.

დაწესებულებას ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს სამ ფარმაცევრტულ დაწესებულებასთან ([redacted] და კომპანია „ ხელშ. 03-20 01.08.2019; შპს“ჰეკატე“ 03-14 (12 ფილიალი) შპს „ გვირილა“ 03-08,) რომელსაც თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის 8 მოდულის ჩამონათვალი და ამ მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ნუსხა, ასევე, მათში მითითებულია პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, პრაქტიკისთვის გამოყოფილი საათები და სხვა ინფორმაცია, რომლებიც ადასტურებს, რომ საერთო ჯამში ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე უზრუნველყოფილია 20-20 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის ობიექტზე შემდეგი მოდულების გავლა:

ა)მომხმარებლისთვის მცენარეული ცხოველური და მინერალურალური ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა;

ბ)მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლის და ჰიგიენის საგნების/ საშუალებების შერჩევა;

გ)მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის საშუალებების შერჩევა;

დ) მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/ საშუალებების შერჩევა;

ე) მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებაში;

ვ) პროდუქციის მიღება -განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ზ) ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლები;

თ) მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება-შეფუთვა, მარკირება.

შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით 40 პროფესიული სტუდენტისთვის თითო ჯგუფში 20-20 პროფესიული სტუდენტის ოდენობით.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს 22 პროფესიული პედაგოგი მათ შორის 6 დარგის კვალიფიციური სპეციალისტი. ფარმაცია (სააფთიაქო)-ს პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლები აყვანილია დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესის საფუძველზე, საკვალიფიკაციო მოთხოვნებში მითითებული ინფორმაცია, განმახორციელებელ პირს რელევანტურს ხდის ამ კონკრეტული მოდულის განსახორციელებლად. პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადამოწმებამ აჩვენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. 2020 წლის 20 ივნისის დირექტორის N 01-04/77 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება 2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222 ბრძანება) „შინაგანაწესის“ და მასწავლებლის მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, კოლეჯში დასაქმებულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი განათლება და სამუშაო გამოცდილება, პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; ექსპერტთა მხრიდან შესწავლილ ოქნა პროფესიული გამნათლების მასწვლების პირადი საქმეები, მათი საათობრივი დატვირთვა და მოხდა მათთან გასაუბრება “Zoom”-ის პლატფორმის საშუალებით. პროფესიული განათლების მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები პროგრამასთან და ინოვაციურ სწავლებასთან დაკავშირებით, მონაწილეობდნენ მოდულების ადაპტირებაში, აქვთ ინფორმაცია მოდულის განხორციელების სპეციფიკის და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ფარმაცია (სააფთიაქო) განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა მიერ შემოწმდა მათი პირადი საქმეები (კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). მოწოდებული აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც დანიშნულია ბრძანებით, დაწესებულებას გაწერილი აქვს პროგრამის ხელმძღვანელის მისი ფუნქციები და ვალდებულებები. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე (კვალიფიკაციის და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია).ინტერვიუირების, პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობრივი ინსტრუქციის და შიდა მიმოწერის, ანგარიშებისა და სხვა სახის დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი არის დარგის სპეციალისტი, რომელიც მუდმივად ეცნობა პროგრამის შიდა და გარე შეფასების მონიტორინგის შედეგებს, და პროგრამის სრულყოფის მიზნით ახდენს რეაგირებას ამ შედეგებზე. მუდმივად აკონტროლებს წაკითხული სასწავლო კურსის მოდულების ხარისხს, ამოწმებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, აგვარებს პროგრამასთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზაციულ საკითხებს. ესწრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად არჩევითად მეცადინეობებს, ამოწმებს სტუდენტთა პრაქტიკულ მოდულებს პრაქტიკის ობიექტებზე.აქტიურად არის ჩართული პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში, ორგანიზებას უწევს კალენდარული გეგმების მომზადებას, სასწავლო ლიტერატურის და მასალა-რესურსების შეძენა- განახლებას, ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებს, ადამიანური რესურსის განვითარებას და კვალიფიკაციის ამაღლებას.
5. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შერჩევითად იქნა გადამოწმებული საგანმანათლებლო რესურსი. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ,,ფარმაცია(სააფთიაქო)“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსი დაწესებულების ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია ელექტრონული ან მატერიალური , უმეტესად კი ორივე სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში“ გაწერილია სსსმ პირების საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და სასწავლო რესურსებისა და გარემოს ადაპტირების საკითხები. კოლეჯს აქვს მზაობა მათ მისაღებად, სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; მათთვის სასწავლო პროცესი წარიმართება მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ამ ეტაპზე პროგრამაზე სსსმ პირები არ ირიცხებიან.
7. კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. სწავლება ფინანსდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. პროგრამა ფინანსდება ვაუჩერულად. კოლეჯს შემუშავებული აქვს პროგრამის ბიუჯეტი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- 2020 წლის 20 ივნისის დირექტორის N 01-04/77 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება 2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222 ბრძანება) „შინაგანაწესი“
- მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- პროგრამის განმახორციელებლების პირადი საქმეები;
- ნოტარიულად დამოწმებული რეფრაქტომეტრის ჩუქების აქტი;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- განმახორციელებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, რომლის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ადგენს რეკომენდაციებს, ანგარიშებს და წარუდგენს დირექტორს. აღნიშნული მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენება დადასტურდა შექმნილი დოკუმენტაციით: ოქმებით, გამოკითხვების შედეგებით, შრომის ბაზრის კვლევებით, სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების შეკრებისა და ანალიზის დოკუმენტებით, სამოქმედო გეგმებით, ასევე ინტერვიუს შედეგებით.
2. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა და მის შედეგებს იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. დაწესებულებას ბრძანებით დანიშნული ჰყავს დირექტორის მოადგილე სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში. დაწესებულებაში დირექტორის 2020 წლის 15 ივლისის N01-26 ბრძანებით დამტკიცებულია „ბათუმის საზოგადოებრივ აკადემია BPA-ში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც ეფუძნება „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლს. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა წარმოადგინა კითხვარები, ანგარიშები და გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებები. დაწესებულება ახორციელებს ასევე კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კითხვარებით გამოკითხვას და და ამ კვლევების საფუძველზე დირექტორს წარუდგენს ანგარიშებს, რომელშიც კვლევის ანალიზის დოკუმენტის საფუძველზე ასაბუთებს ცვლილებების საჭიროებას საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში, რაც შემდგომში ხორციელდება დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

   ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტებმა დაწესებულებას მისცეს განმავითარებელი რეკომენდაციის სახით რჩევა, რომ გაერთიანდეს ქვემოთ მითითებული მექანიზმები ერთ დოკუმენტში და ასევე, რადგან სტრუქტურის მიხედვით აკადემიაში არ არსებობს ხარისხის მართვის სამსახური, დოკუმენტს „ხარისხის მართვის სამსახურის სამოქმედო გეგმა“ ეწოდოს „ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა“.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- 2021 წლის 20 მაისის N01-04/66 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“
- 2020 წლის 15 ივლისის N01-26 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“;
- ხარისხის მართვის სამსახურის სამოქმედო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- 2018-2021 წწ მიხედვით პროგრამებზე რეგისტრაციის, ჩარიცხვების, კვალიფიკაციის მინიჭების მიხედვით სტატისტიკური მონაცემები;
- კვალიფიკაციის მინიჭების ოქმები
- დირექტორის 2020 წლის 15 ივლისის N01-26 ბრძანებით დამტკიცებული „ბათუმის საზოგადოებრივ აკადემია BPA-ში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- პსდ-ს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები (მათ შორის საგანმანთლებლო პროგრამის ფარგლებში შეძენილი უნარებით/კომპეტენციებით პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლების კმაყოფილების მაჩვენებელი, კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის მაჩვენებელი; პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი);
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის წარმოდგენილი სასწავლო გეგმის ანალიზით იგი ხორციელდება თანმიმდევრულად, პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სასწავლო კურსების წინაპირობებისა და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვის დაცვით; სასწავლო პროცესი, დაწესებულებაში ხორციელდება სასწავლო გეგმის მიხედვით, რაც დასტურდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგებით;
2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, ასევე საკომუნიკაციო საშუალებებით. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილია სსსმ და შშმ პირების, აგრეთვე მობილობით გადმოსული და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია, ჩატარდა ინტერვიუები, რომლის ფარგლებში ისინი გაესაუბრნენ პროფესიულ სტუდენტებს და პროფესიულ მასწავლებლებს და რრის საფუძველზეც გააკეთდა დასკვნა, რომ პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმების შესაბამისად. სასწავლო პროცესში განხორციელდა სასწავლო გეგმის ოპერატიული ცვლილებები პანდემიის პირობებში, დარგის კონტექსტის გათვალისწინებით. შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან.
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. მოდულებში გამოკვეთილია სწავლის თანამედროვე მეთოდები პრაქტიკის ობიექტები და დაწესებულება აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით. დამსაქმებელთა უკუკავშირის შესწავლისა და ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამით განსაზღვრული სწავლების მეთოდები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

და ტექნოლოგიები, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის თანამედროვე მიდგომებს.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, ვინაიდან მარეგულირებელ დოკუმენტებში გაწერილია შესაბამისი მექანიზმები. ამ ეტაპისთვის ინდივიდუალური საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტი დაწესებულებას არ ჰყავს.
5. დაწესებულებას ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს სამ ფარმაცევრტულ დაწესებულებასთან [redacted]კომპანია„ ხელშ. 03-20 01.08.2019; შპს“ჰეკატე“ 03-07 (12 ფილიალი) შპს „ გვირილა“ 03-08), რომელიც საერთო ჯამში უზრუნველყოფს 40 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის ობიექტზე შემდეგი მოდულების გავლას:

ა)მომხმარებლისთვის მცენარეული ცხოველური და მინერალურალური ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა;

ბ)მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლის და ჰიგიენის საგნების/ საშუალებების შერჩევა;

გ)მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის საშუალებების შერჩევა;

დ) მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/ საშუალებების შერჩევა;

ე) მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებაში;

ვ) პროდუქციის მიღება -განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება;

ზ) ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლები;

თ) მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება-შეფუთვა, მარკირება;

პრაქტიკის ხელშეკრულებებში განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა მისაღები რაოდენობა, მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, მოდულები, საათობრივი დატვირთვა, მხარეთა ვალდებულებები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხელმისაწვდომობა და უსაფრთხოება. ხელშეკრულებაში გაწერილია კოლეჯსა და პარტნიორს შორის კოორდინაციის საკითხები.

დაწესებულების მხრივ მისასალმებელია და მათ მაღალ პასუხისმგებლობაზე მეტყველებს ფაქტი, რომ მიმართეს სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს, რათა გადაემოწმებინათ რომ პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შესაძლებელი იქნებოდა მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტების საქმიანობის პროფილების მიხედვით (მიწერილობა N70757 16.07.21).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. დაწესებულებას საგაბმანათლებლო პროგრამა ფარმაცია(სააფთიაქოს) ფარგლებში შემუშავებული აქვს უსაფრთხოების წესი. დაწესებულებაში AC გარემოში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და დამუხტული ცეცხლმაქრები, გამოკრულია უსაფრთხოების წესები ქიმიურ ლაბორატორიაში, ქიმიურ ნივთიერებებთან უსაფრთხოდ მუშაობის წესები, უბედური შემთხვევეის დროს მოქმედების წესები. აღნიშნულ გარემოში განთავსებულია გამწოვი კარადა, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების მინიმალურ უსაფრთხოებას. დაწესებულება სისტემატიურად ახდენს უსაფრთხოების საშუალებათა/პირადი დაცვის საშუალებათა შეძენას, რაც დასტურდება შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს ქიმიური და ფარმაცევტული ნარჩენების შეგროვებას. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში მიმდინარეობის უზრუნველსაყოფად, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფს - სამედიცინო არასახიფათო და სახიფათო (გარდა რადიაციული) ნარჩენების გაუვნებელყოფის სამუშაოებს (სპეციალურ კონტეინერებში განთავსება, სპეც. მანქანით ტრანსპორტირება საბოლოო დანიშნულებამდე და თერმულიდამუშავება).დაწესებულებას შემუშავებული და დირექტორის დამტკიცებული აქვს დოკუმენტი - „ლაბორატორიაში მუშაობის უსაფრთხო წესები“, რომელიც მოიცავს ქიმიურ ლაბორატორიაში და ქიმიურ ნივთიერებებთან უსაფრთხოდ მუშაობის წესებს, აგრეთვე უბედური შემთვევების დროს რეაგირების/პირველადი დახმარების, ქიმიური/ფარმაცევტული ნარჩენების მართვის, ხანძარსაწინააღმდეგო წესებს. ამრიგად, დაწესებულების სამუშაო გარემოში დაცულია უსაფრთხოების წესები დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „ფარმაცია (სააფთიაქო)“ , სასწავლო გეგმები, კალენდარული გეგმები;
- პრაქტიკის ხელშეკრულებით;
- მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ბათუმის საზოგადოებრივ აკადემიის „’BPA”-ის დირექტორის 231.12.2021წ. ბრძანება N „01-48 ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია „BPA”-ის ქიმიურ -ტექნოლოგიურ, ბიოლოგიურ ლაბორატორიაში უსაფრთხო მუშაობის წესების დაცვის მექანიზმების შემუშავების შესახებ“.
- ბათუმის საზოგადოებრივ აკადემიის „’BPA”-ის დირექტორის 19.02.2021წ. ბრძანებით N „01-04“ საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება მუხლი 24, პ.21 - ნარჩენების შეგროვებაზე და უტილიზაცია;
- უსაფრთხოების საშუალებათა/პირადი დაცვის საშუალებათა უზრუნველყოფის (შესყიდვის) დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმები;
- ვიზუალური დათვალიერება;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა, რომელიც გაწერილია „სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის“ მე-10 და მე-11 მუხლებში. იგი მოიცავს შეფასებასთან დაკავშირებულ ყველა ძირითად ასპექტს და ვადებს, შეფასების ადმინისტრირების საკითხებს, შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებულ საკითხებსა და აპელაციის წესს, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურასა და წესს და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

საერთო ჯამში, დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემა, რომელიც აკმაყოფილებდეს ამ კრიტერიუმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი.

2. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც გაწერილია „სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის“ მე-12.3 მუხლში. მის საფუძველზე კოლეჯი ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებით - შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაცია ხორციელდება პროგრამის დასრულების შემდეგ. კოლეჯის მიერ შემუშავებული წესის მიხედვით შიდა ვერიფიკატორი შეიძლება იყოს კოლეჯის იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, იმავე პროგრამის სხვა მასწავლებელი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელთაც გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია. ვერიფიკატორი შემოწმების ანგარიშს წარადგენს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან დასკვნის სახით. ვინაიდან, აღნიშნული პროფესიული პროგრამა არ იყო დასრულებული ვიზიტის დროს, შესაბამისად ვერიფიკაციის პროცესი მათთან მიმართებაში ჯერ არ განხორციელებულა. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ ვერიფიკაცია კოლეჯში განხორციელდა უკვე დასრულებული პროგრამისთვის და წარმოადგინა იმ ეტაპისთვის განხორციელებული ვერიფიკაციის პროცესის მტკიცებულებები.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, რაც დასტურდება „სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის“ მე-13 მუხლის საფუძველზე. სტუდენტთა შეფასების უწყისები ინახება კოლეჯში უვადოდ.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. სასწავლო პროცესის მენეჯერი აანალიზებს შეფასების შედეგებს და ანგარიშს წარუდგენს კოლეჯის დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება

(მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“, სასწავლო გეგმა,მოდულები;
- დირექტორის 2020 წლის 15 ივლისის N01-26 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი“ რეგულაციები შეფასების სისტემის თაობაზე, არქივის წესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- შიდა ვერიფიკაციის წესი;
- შიდა ვერიფიკაციის დასკვნები/ანგარიშები;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები
- შეფასების ინსტრუმენტები და შეფასების მტკიცებულებები;
- კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

2.საექთნო განათლება

პროგრამის სახელწოდება	**საექთნო განათლება**
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცებულია 2019 წლის 8 თებერვლის N01-04/22 ბრძანებით ცვლილება შესულია 20.04.2021 წლის N01-04/54 ბრძანებით
პროგრამის განხორციელების ენა	ბათუმი, გრიბოედოვის ქ N67
პროგრამის განხორციელების ადგილი	მოდულური
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	60

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	-
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

2.საექთნო განათლება

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება		სრულ შესაბამისობაშია
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		სრულ შესაბამისობაშია
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება		სრულ შესაბამისობაშია
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება		სრულ შესაბამისობაშია

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.საექთნო განათლება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯს შემუშავებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ რის საფუძველზეც განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ შემუშავება. გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ განხორციელების შესახებ ეფუძნება კოლეჯის მისიასა და სტრატეგიულ განვითარებას. გადაწყვეტილება შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს, როგორც დამსაქმებლების, ასევე სწავლის მსურველთა, მხრიდან;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო განათლება“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც შესაბამისობაშია შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ დაშვების წინაპირობასთან, ასევე, დაწესებულების მიერ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები დამტკიცებულია 2020 წლის 27 თებერვალს დირექტორის ბრძანებით N 01-04/28 (ბოლო ცვლილება: 23.07.2021წ ბრძანება N01-23) „პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესით“, რომელიც ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას დაწყებული პროგრამაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მიღების გამოცხადებიდან, დასრულებული პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე. დოკუმენტი ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებას და აქედან გამომდინარე, დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრას კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამტარობის საფუძველზე (კერძოდ A,B,C გარემოების ტევადობას სწავლების 2 ცვლად განხორციელებისთვის) და პარტნიორ ორგანიზაციებში თითოეულ პროფესიულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკით უზრუნველყოფის შესაძლებლობის მიხედვით. კერძოდ, მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით კოლეჯი შეიმუშავებს პროფესიულ სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის დასაბუთებას თითოეული პროგრამისთვის, რომელიც ითვალისწინებს კოლეჯის ინფრასტრუქტურისა და პრაქტიკის ობიექტის შესაძლებლობებს. ასევე პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობას, გარემოების გამტარობას, პრაქტიკის ობიექტთან/პარტნიორ საწარმოსთან გაფორმებულია ხელშეკრულებები რომელიც ითვალისწინებს კლინიკური მოდულების განხორციელების შესაძლებლობას და პრაქტიკის ობიექტზე/პარტნიორ საწარმოში მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობას. კერძოდ, მხედველობაში მიიღება:

1) A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;

2) B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;

3) C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;

4) სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მტერიალური რესურსი;

5) მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის რაოდენობა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6) პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით მოდულების კვირეული დატვირთვა;

7) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხანგრძლივობა.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,საექთნო განათლება“ „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაზე“ დაყრდნობით კოლეჯის ადმინისტრაციამ კვოტად განისაზღვრა 60 პროფესიული სტუდენტი, თითო მიღებაზე 20-20 პროფესიული სტუდენტი, რაც შეესაბამება ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიით პროფესიულ სტუდენტთა პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის განსაზღვრას.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან და რელევანტურია სწავლის შედეგების მისაღწევად. კერძოდ, პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი A/C და B სასწავლო გარემო და პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც მითითებულია მოდულებში, უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს;
6. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომლის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამა ,,საექთნო განათლება“ დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის დირექტორის მიერ.
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ,,საექთნო განათლება“ შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.
8. პროგრამა შემუშავებულია 2021 წლის 20 მაისის N01-04/66 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. იგი ეფუძნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 21.05.2018 N407/ი ბრძანებით დამტკიცებულ (ცვლილება 2021 წლის 11) - ,,საექთნო განათლება“ და შესაბამისობაშია მასთან. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულებიც (A2 და B1), რომელთა მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად. პროგრამის მოცულობა შეადგენს180 კრედიტს, არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის კი 210 კრედიტს. მოდულები ადაპტირებულია შესაბამისი წესით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 20 მაისის N01-04/66 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“,
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- 2019 წლის 8 თებერვლის N01-04/22 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება 20.04.2021 წლის N01-04/54 ბრძანებებით) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "საექთნო განათლება";
- 2018 წლის 10 აგვისტოს N 01-04/122 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტი;
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ,,საექთნო განათლება“ საჭირო მატერიალური რესურსი. კოლეჯს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების მიზნებისთვის აქვს აქვს A გარემო, AC (სამედიცინო კაბინეტი) და ორი B (პროგრამის მოთხოვნების მიხედვით აღჭურვილი) გარემო სადაც არის აღჭურვილობა საკმარისი რაოდემობით.
   სასწავლო გარემოს მოდელი AC გარემო - განკუთვნილია 20 პროფესიული სტუდენტისათვის. AC გარემოში განთავსებულია: სამუშაო მაგიდები, სკამები, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფით, კომპიუტერით (პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის), სასწავლო პლაკატებით.
   ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ მოხდა სამივე AC გარემოში განთავსებული მატერიალური რესურსის ფიზიკური, შერჩევითი დათვალიერება. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში განკუთვნილია 20 პროფესიული სტუდენტისათვის.
   სასწავლო გარემოს მოდელი B გარემო, რომელშიც განთავსებულია 21 პერსონალური კომპიუტერი განკუთვნილია პროფესიული სტუდენტებისათვის, ხოლო ერთი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის.
   დაწესებულებას ხელშეკრულებები გაფორმებილი აქვს ოთხ სამედიცინო კლინიკასთან. მათ თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების ჩამონათვალი და ამ მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ნუსხა, ასევე, მათში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მითითებულია პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, პრაქტიკისთვის გამოყოფილი საათები და სხვა ინფორმაცია, რომლებიც ადასტურებს, რომ საერთო ჯამში ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე უზრუნველყოფილია 20-20 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის გავლა.

უნდა აღინიშნოს, რომ თითო მიღებაზე დაწესებულება იღებს ჯგუფში 20 პროფესიულ სტუდენტს. პროგრამა 3 წლიანია, შესაბამისად, სწავლების მესამე წელს 20-20 პროფესიული სტუდენტის წლიურად პროგრამაზე მიღების შემთხვევაში საერთო კვოტის (60) ფარგლებში იქნება.

აქედან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით 60 პროფესიული სტუდენტისთვის თითო ჯგუფში 20-20 პროფესიული სტუდენტის ოდენობით.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს 38 პროფესიული პედაგოგი მათ შორის 8 ზოგადი მოდულის. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლები აყვანილია დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესის საფუძველზე, საკვალიფიკაციო მოთხოვნებში მითითებული ინფორმაცია, განმახორციელებელ პირს რელევანტურს ხდის ამ კონკრეტული მოდულის განსახორციელებლად. პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადამოწმებამ აჩვენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. 2020 წლის 20 ივნისის დირექტორის N 01-04/77 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება 2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222 ბრძანება) „შინაგანაწესის“ და მასწავლებლის მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, კოლეჯში დასაქმებულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი განათლება და სამუშაო გამოცდილება, პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; ექსპერტთა მხრიდან შესწავლილ ოქნა პროფესიული გამნათლების მასწვლების პირადი საქმეები, მათი საათობრივი დატვირთვა და მოხდა მათთან გასაუბრება “Zoom”-ის პლატფორმის საშუალებით. პროფესიული განათლების მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები პროგრამასთან და ინოვაციურ სწავლებასთან დაკავშირებით, მონაწილეობდნენ მოდულების ადაპტირებაში, აქვთ ინფორმაცია მოდულის განხორციელების სპეციფიკის და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებში. პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამისთვის ფარმაცია (სააფთიაქო) განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა მიერ შემოწმდა მათი პირადი საქმეები (კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). მოწოდებული აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც დანიშნულია ბრძანებით, დაწესებულებას გაწერილი აქვს პროგრამის ხელმძღვანელის მისი ფუნქციები და ვალდებულებები. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე (კვალიფიკაციის და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია).ინტერვიუირების, პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობრივი ინსტრუქციის და შიდა მიმოწერის, ანგარიშებისა და სხვა სახის დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი არის დარგის სპეციალისტი, რომელიც მუდმივად ეცნობა პროგრამის შიდა და გარე შეფასების მონიტორინგის შედეგებს, და პროგრამის სრულყოფის მიზნით ახდენს რეაგირებას ამ შედეგებზე. მუდმივად აკონტროლებს წაკითხული სასწავლო კურსის მოდულების ხარისხს, ამოწმებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, აგვარებს პროგრამასთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზაციულ საკითხებს. ესწრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად არჩევითად მეცადინეობებს, ამოწმებს სტუდენტთა პრაქტიკულ მოდულებს პრაქტიკის ობიექტებზე. აქტიურად არის ჩართული პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში, ორგანიზებას უწევს კალენდარული გეგმების მომზადებას, სასწავლო ლიტერატურის და მასალა-რესურსების შეძენა- განახლებას, ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებს, ადამიანური რესურსის განვითარებას და კვალიფიკაციის ამაღლებას.
5. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შერჩევითად იქნა გადამოწმებული საგანმანათლებლო რესურსი. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ,,საექთნო განათლება“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსი დაწესებულების ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია ელექტრონული ან მატერიალური , უმეტესად კი ორივე სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში“ გაწერილია სსსმ პირების საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და სასწავლო რესურსებისა და გარემოს ადაპტირების საკითხები. კოლეჯს აქვს მზაობა მათ მისაღებად, სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; მათთვის სასწავლო პროცესი წარიმართება მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ამ ეტაპზე პროგრამაზე სსსმ პირები არ ირიცხებიან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

7. კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. სწავლება ფინანსდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. პროგრამა ფინანსდება ვაუჩერულად. კოლეჯს შემუშავებული აქვს პროგრამის ბიუჯეტი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- 2020 წლის 20 ივნისის დირექტორის N 01-04/77 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება 2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222 ბრძანება) „შინაგანაწესი“
- მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- პროგრამის განმახორციელებლების პირადი საქმეები;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- განმახორციელებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, რომლის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ადგენს რეკომენდაციებს, ანგარიშებს და წარუდგენს დირექტორს. აღნიშნული მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენება დადასტურდა შექმნილი დოკუმენტაციით: ოქმებით, გამოკითხვების შედეგებით, შრომის ბაზრის კვლევებით, სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების შეკრებისა და ანალიზის დოკუმენტებით, სამოქმედო გეგმებით, ასევე ინტერვიუს შედეგებით.
2. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა და მის შედეგებს იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. დაწესებულებას ბრძანებით დანიშნული ჰყავს დირექტორის მოადგილე სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში. დაწესებულებაში დირექტორის 2020 წლის 15 ივლისის N01-26 ბრძანებით დამტკიცებულია „ბათუმის საზოგადოებრივ აკადემია BPA-ში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც ეფუძნება „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლს. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა წარმოადგინა კითხვარები, ანგარიშები და გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებები. დაწესებულება ახორციელებს ასევე კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კითხვარებით გამოკითხვას და და ამ კვლევების საფუძველზე დირექტორს წარუდგენს ანგარიშებს, რომელშიც კვლევის ანალიზის დოკუმენტის საფუძველზე ასაბუთებს ცვლილებების საჭიროებას საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში, რაც შემდგომში ხორციელდება დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

რადგან სტრუქტურის მიხედვით აკადემიაში არ არსებობს ხარისხის მართვის სამსახური, დოკუმენტს „ხარისხის მართვის სამსახურის სამოქმედო გეგმა“ სასურველია ეწოდოს „ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა“.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- 2021 წლის 20 მაისის N01-04/66 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“
- 2020 წლის 15 ივლისის N01-26 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“;
- ხარისხის მართვის სამსახურის სამოქმედო გეგმა;
- 2018-2021 წწ მიხედვით პროგრამებზე რეგისტრაციის, ჩარიცხვების, კვალიფიკაციის მინიჭების მიხედვით სტატისტიკური მონაცემები;
- კვალიფიკაციის მინიჭების ოქმები
- დირექტორის 2020 წლის 15 ივლისის N01-26 ბრძანებით დამტკიცებული „ბათუმის საზოგადოებრივ აკადემია BPA-ში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- პსდ-ს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები (მათ შორის საგანმანთლებლო პროგრამის ფარგლებში შეძენილი უნარებით/კომპეტენციებით პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლების კმაყოფილების მაჩვენებელი, კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის მაჩვენებელი; პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი);
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის წარმოდგენილი სასწავლო გეგმის ანალიზით იგი ხორციელდება თანმიმდევრულად, პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სასწავლო კურსების წინაპირობებისა და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვის დაცვით; სასწავლო პროცესი, დაწესებულებაში ხორციელდება სასწავლო გეგმის მიხედვით, რაც დასტურდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგებით;
2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, ასევე საკომუნიკაციო საშუალებებით. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილია სსსმ და შშმ პირების, აგრეთვე მობილობით გადმოსული და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია, ჩატარდა ინტერვიუები, რომლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ფარგლებში ისინი გაესაუბრნენ პროფესიულ სტუდენტებს და პროფესიულ მასწავლებლებს და რრის საფუძველზეც გააკეთდა დასკვნა, რომ პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმების შესაბამისად. სასწავლო პროცესში განხორციელდა სასწავლო გეგმის ოპერატიული ცვლილებები პანდემიის პირობებში, დარგის კონტექსტის გათვალისწინებით. შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. მოდულებში გამოკვეთილია სწავლის თანამედროვე მეთოდები პრაქტიკის ობიექტები და დაწესებულება აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით. დამსაქმებელთა უკუკავშირის შესწავლისა და ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამით განსაზღვრული სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის თანამედროვე მიდგომებს.
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, ვინაიდან მარეგულირებელ დოკუმენტებში გაწერილია შესაბამისი მექანიზმები. ამ ეტაპისთვის ინდივიდუალური საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტი დაწესებულებას არ ჰყავს.
5. დაწესებულებას ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს ოთხ სამედიცინო დაწესებულებასთან.

   1)შპს. „ბათუმის სამედიცინო ცენტრთან“ -ხელN3-15 ხელშეკრულება ითვალისწინებს კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისათვის კლინიკის ბაზაზე ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას, კლინიკაში არსებული მიმართულების შესაბამისად:

   1. კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია;
   2. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია;

   ექსპერტთა აზრით, აღნიშნული კლინიკა უზრუნველყოფს დაწესებულების მიერ განსაზღვრული მოდულების ფარგლებში პრაქტიკის განხორციელებას.

   2) სს ევექსის ჰოსპიტლები -კორპორაცია ხელ.N03-17

   აღნიშნული კლინიკის ბაზაზე იგეგმება შემდეგი კლინიკური მოდულების განხორციელება:
   1. კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
   2. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
4. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
5. კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
6. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
7. კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
8. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
9. კლინიკური პრაქტიკა- სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
10. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა.
11. კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები
12. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები.

3)სს“ევექსის ჰოსპიტლები“ ხელN03-14
1. კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
2. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
3. კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
4. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
5. კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
6. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
7. კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
8. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
9. კლინიკური პრაქტიკა- სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;

4)შპს „მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი“ ხელN03-16
აღნიშნული კლინიკის ბაზაზე იგეგმება შემდეგი კლინიკური მოდულების განხორციელება:
1. კლინიკური პრაქტიკა- სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
2. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა.
ექსპერტთა აზრით, აღნიშნული კლინიკა უზრუნველყოფს დაწესებულების მიერ განსაზღვრული მოდულების ფარგლებში პრაქტიკის განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პრაქტიკის ხელშეკრულებებში განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა მისაღები რაოდენობა, მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, მოდულები, საათობრივი დატვირთვა, მხარეთა ვალდებულებები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხელმისაწვდომობა და უსაფრთხოება. ხელშეკრულებაში გაწერილია კოლეჯსა და პარტნიორს შორის კოორდინაციის საკითხები და შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტების მოთხოვნებთან.

დაწესებულების მხრივ მისასალმებელია და მათ მაღალ პასუხისმგებლობაზე მეტყველებს ფაქტი, რომ მიმართეს სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს, რათა გადაემოწმებინათ რომ პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შესაძლებელი იქნებოდა მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტების საქმიანობის პროფილების მიხედვით (მიწერილობა N70757 16.07.21).

6. დაწესებულება ადგილზე ახორციელებს პროგრამა „საექთნო განათლების“ მხოლოდ თეორიულ მოდულებს, პრაქტიკულ მოდულებს კი კოლეჯი ახორციელებს პრაქტიკის ობიექტებზე. პრაქტიკის ობიექტები ხელშეკრულების ფარგლებში, პასუხისმგებლები არიან პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოებაზე. აქედან გამომდინარე, აღნიშნული პროგრამისათვის ზოგადი უსაფრთხოების ნორმების არსებობა დაწესებულებაში სრულიად საკმარისია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ,,საექთნო განათლება“ , სასწავლო გეგმები, კალენდარული გეგმები;
- პრაქტიკის ხელშეკრულებით;
- მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია
- პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ობიექტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები;
- „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება“;
- შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვის, გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენებისუტილიზაციის წესები
- ნარჩენების მართვის გეგმა
- ვიზუალური დათვალიერება;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- ■ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა, რომელიც გაწერილია „სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის“ მე-10 და მე-11 მუხლებში. იგი მოიცავს შეფასებასთან დაკავშირებულ ყველა ძირითად ასპექტს და ვადებს, შეფასების ადმინისტრირების საკითხებს, შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებულ საკითხებსა და აპელაციის წესს, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურასა და წესს და სხვ.

საერთო ჯამში, დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემა, რომელიც აკმაყოფილებდეს ამ კრიტერიუმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი.

2. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც გაწერილია „სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის“ მე-12.3 მუხლში. მის საფუძველზე კოლეჯი ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებით - შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაცია ხორციელდება პროგრამის დასრულების შემდეგ. კოლეჯის მიერ შემუშავებული წესის მიხედვით შიდა ვერიფიკატორი შეიძლება იყოს კოლეჯის იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, იმავე პროგრამის სხვა მასწავლებელი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელთაც გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია. ვერიფიკატორი შემოწმების ანგარიშს წარადგენს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან დასკვნის სახით. ვინაიდან, განსახილველი პროფესიული პროგრამა არ იყო დასრულებული ვიზიტის დროს, შესაბამისად ვერიფიკაციის პროცესი მასთან მიმართებაში ჯერ არ განხორციელებულა. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ ვერიფიკაცია კოლეჯში განხორციელდა უკვე დასრულებული პროგრამისთვის და წარმოადგინა იმ ეტაპისთვის განხორციელებული ვერიფიკაციის პროცესის მტკიცებულებები.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, რაც დასტურდება „სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის“ მე-13 მუხლის საფუძველზე. სტუდენტთა შეფასების უწყისები ინახება კოლეჯში უვადოდ.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. სასწავლო პროცესის მენეჯერი აანალიზებს შეფასების შედეგებს და ანგარიშს წარუდგენს კოლეჯის დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება

(მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“, სასწავლო გეგმა,მოდულები;
- დირექტორის 2020 წლის 15 ივლისის N01-26 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი“ რეგულაციები შეფასების სისტემის თაობაზე, არქივის წესი
- შიდა ვერიფიკაციის წესი;
- შიდა ვერიფიკაციის დასკვნები/ანგარიშები;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები
- შეფასების ინსტრუმენტები და შეფასების მტკიცებულებები;
- კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;
დანართი 2. მოდიფიცირებული მარეგულირებელი დოკუმენტების ბრძანებები;
დანართი 3. ნოტარიულად დამოწმებული რეფრაქტომეტრის ჩუქების აქტი;
დანართი 4. სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობა N01502338/11.06.2019.
დანართი 5. სამოქმედო გეგმა 2021 წ.
დანართი 6. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და თანდართული დოკუმენტაცია.

29.09.2021 წელი

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: